კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
18 აგვისტო, 2003 წელი
№219
(4598)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

დღეს — ხვალისათვის

# თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეულმა არ უნდა იარო?





## საგარეჯო და საგარეჯოელები

„ფრთხილად, იმპერიის ნანგრევებში არ მოჰყვეთ!“ — ალბათ, ყველას გვახსოვს არც ისე შორეული, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ეს გაფრთხილება. სამწუხაროდ, გაფრთხილება გაფრთხილებად დარჩა: მართალია, იმპერიის ნანგრევებში არ მოვყოლილვართ, მაგრამ ბევრი ფასეული რამ კი მართლა ნანგრევებად ვაქციეთ.

ახლა ძალიან გაჭირდა იმ ნანგრევებისგან ქვეყნის გასუფთავება. საქმეს ის ართულებს, რომ გაძნელდა მოშლილი ეკონომიკის აღდგენა, რასაც მიმდინარე რთული პროცესები განაპირობებს. ცეცხლზე ნავთს ასხამს კორუფცია, იმ პირთა უნამუსობა, ვინც საქვეყნო დოვლათის დიდი ნაწილი ჩაიჯიბა და ახლა იმავე ქვეყნის სასიკეთოდ გროშის გაღებაც არ სურს.

მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, უკუნ ღამეში გაელვებული კომეტასავით მაინც გამოანათებს ხოლმე სიკეთის სხივი. იქ, სადაც ცოტა უფრო მეტი პასუხისმგებლობით ირჯებიან, პოულობენ საშუალებას, რომ დანგრეული აღადგინონ, ცოტა ახალიც მიუმატონ და ადამიანის იმედი გააცოცხლონ.

ეს ფიქრები მოგვდევდა საგარეჯოში ჩვენი გაზეთის მთავარ რედაქტორს არმაზ სანებლიძეს, ფოტოკორესპონდენტს ჯემალ კასრაძეს და ამ სტრიქონების ავტორს. ამ რაიონში ბოლო ხანს მრავალ სიახლეს დაედო სათავე. საგარეჯო თავისი ეკონომიკით საქართველოს სხვა რაიონებისაგან დიდად არ განსხვავდება, აქაც ზღვა პრობლემები აწუხებთ, მაგრამ... ცოტა უფრო მეტი რეალობით აფასებენ მოვლენებს და, ბარემ ესეც ვთქვათ, ნამუსთანაც პირნათელნი არიან!

იხ. მე-3-4 გვ.

## ინფორმაცია

### ერთიანი კანდიდატი ეყოლებათ

ხელისუფლების მხარდამჭერ ბლოკს „ახალი საქართველოსთვის“, სადაც ამჟამად 5 პოლიტიკური ორგანიზაციაა გაერთიანებული, 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი კანდიდატურა ეყოლება და ამ საკითხის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოზიცია იქნება.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ვახტანგ რჩეულიშვილმა განუცხადა.

### დამნაშავეებს ჯერ ვერ დაასახელებენ

უშიშროების სამინისტრო მთავრობის მომავალ სხდომაზე ოთხშაბათს სავარაუდოდ ვერ წარმოადგენს იმ სახელმწიფო მოხელეებისა და პარლამენტართა სიას, ვინც არალეგალური საწვავით მოვაჭრე ბენზინგასამართი სადგურების რეალური მფლობელები არიან.

როგორც პრაიმ-ნიუსს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა უთხრა, კონკრეტული დამნაშავე პირების დასახელებას სათანადო მტკიცებულებების მოპოვება სჭირდება, რაც „სერიოზული, შრომატევადი და მძიმე სამუშაოა“, „ეს სამუშაოები გარკვეულ დროს მოითხოვს.“

### ხუთ ახალ წევრს წარადგენს

სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მისთვის განკუთვნილ ხუთ ადგილზე ახალ წევრებს წარადგენს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სახელისუფლებო ბლოკში შემავალი სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა, პარლამენტარმა ზაქარია ქუცნაშვილმა უთხრა, ბლოკის შიგნით მიმდინარე კონსულტაციებისას გადაწყდა, რომ ახალ ცესკოში არც ერთ ძველ წარმომადგენელს არ დატოვებენ.

ქუცნაშვილის თქმით, წინასწარი კონსულტაციებით, ცესკოში ბლოკისთვის გამოყოფილ ხუთადგილიან ქვოტაში, თითო-თითო წევრი სოციალისტური და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებიდან იქნებიან წარმოდგენილნი.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

## თვალსაწიერი

### დემოკრატია ჩვენი, ჯორცხენული

დემოკრატია და დიქტატურა პოლარული ცნებებია.

გარკვეულ სივრცეში ერთის არსებობა, ავტომატურად გამორიცხავს მეორის არსებობას.

ამ ანტიპოდურ ცნებებს ერთი უცნაურობაც სჭირთ; ხომ ასე შეუთავსებადნი არიან, ხანდახან ისეც ხდება, რომ ერთი მეორეს მოგანატრებს.

ეს მონატრება უნივერსალურია: თუ დიქტატურის დროს აუცილებლად ნატრობ დემოკრატიას, არის მომენტი, როცა დემოკრატიის ლაღ და ნეტარ ტალღებში მოლივლივეს უცებ დიქტატურის სუსხიანი მუშტი მოგენატრება (რა თქმა უნდა, მაგიდაზე დარტყმული და არა საკუთარ ცხვირ-პირში ნალეწი).

არ დავმალავ: ამ „ხანდახანში“, როცა წკეპლა და ყურის აწევა აუცილებლობად გესახება, საქართველოს „მყარად სტაბილურ“ დღევანდელობას ვგულისხმობ.

ამას თავისი ახსნა აქვს.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

აშშ-სა და კანადაში ენერგეტიკული კოლაფსის მიზეზი ოჰაიოს ელექტროქსელებში მოკლე ჩართვა იყოო, განაცხადა ჩრდილოამერიკული ენერგეტიკული საბჭოს პრეზიდენტმა მაიკლ ჰერტმა. ამასთან, მან აღიარა, რომ ჯერ გაურკვეველია, თუ როგორ მოხდა ეს.



ცნობილი ამერიკელი მსახიობის, ავსტრიული წარმოშობის არნოლდ შვარცენეგერის მამა თავის დროზე ჰიტლერელ მოიერიშეთა შორის ყოფილა, რომლებმაც „ბროლის ღამე“ — ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. „ლოს-ანჯელეს თაიმსის“ ჟურნალისტებმა ვენის სახელმწიფო არქივში მოახერხეს გაცნობოდნენ ამის დამამტკიცებელ დოკუმენტებს.



ატლანტიკაში იპოვეს ჩაძირული ხომალდი 180 მილიონი დოლარის ღირებულების ოქროთი. მას 59 მგზავრი გადაჰყავდა და ოქროს მონეტები გადაჰქონდა ნიუ-იორკიდან ახალ ორლეანში და გრიგალის შედეგად დაიღუპა ქალაქ სავანის რაიონში (ჯორჯიის შტატი) 1865 წლის 25 ოქტომბერს.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სახელმწიფო

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

**არჩილ ახვლედიანისა და ასტიონ ქასრაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

რეგიონის აღმშენებლობასა და ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შრომითი და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ქალაქ ტყიბულის საპატიო მოქალაქეები **არჩილ ახვლედიანი** და **ასტიონ ქასრაშვილი** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

**გიგლა სიმონიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ხონის რაიონში მეაბრეშუმეობის დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს დამსახურებული აგრონომი **გიგლა სიმონიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

**გივი სარდანაძის, ზურაბ ჭავჭანიძისა და ჯუმბერ ხაჟალიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში სპორტის განვითარებასა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამწვრთნელო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

**გივი სარდანაძე** — ქუთაისის საქალაქო სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის ჭიდაობა სამბოს მწვრთნელი-მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;

**ზურაბ ჭავჭანიძე** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების გუნდის მწვრთნელი ძალისმიერ სამჭიდში, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;

**ჯუმბერ ხაჟალია** — იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**

**რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს რუსუდან სებისკვერაძე.**



### ქვეყნისთვის

— აფხაზეთს არავინ ვივიწყებთ, ეს პრობლემა ჩვენი ტკივილია, მაგრამ განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ამ ტკივილზე ომის დაწყების დღეს, 14 აგვისტოს. ვფიქრობ, საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ჭეშმარიტად დიდი სურვილი არ ჰქონდეს აფხაზეთის დაბრუნებისა. ამ საკითხის გადაწყვეტისთვის, ალბათ, ყველას ძალისხმევაა საჭირო. ეს ერის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. იმედი ვიქონიოთ, რომ არც ისე დიდი დრო გვაშორებს ოცნების აღსრულებას...

### ჩემთვის პირადად

— ერთი სიმღერის შესახებ მოგახსენებთ — გია ჯოხაძის ლექსზე დავწერე „სამშობლოწართმეული კაცის სიმღერა“ სოლისტისა და გუნდისთვის, რომელიც სწორედ აფხაზეთის თემას უკავშირდება და შესაფერისი იმპულსებითაც არის გაჯერებული. ეს პატრიოტული სიმღერაა, რომლის აჟღერება სწორედ ახლაა დროული, მაგრამ ვეჭვობ, რომ ახლო მომავალში შესრულდეს ეს ნაწარმოები და ის გაიცნოს ხალხმა, არადა, ერთ-ორ ადამიანს ხომ მაინც აუტოკებდა ეს ჰანგი ძარღვს?! მიხვდით, ალბათ, თუ რატომ ვერ აჟღერდება „სამშობლოწართმული კაცის სიმღერა“, — იმიტომ, რომ მის შესრულებას, ჩაწერას სჭირდება თანხა, რომელიც მე ნამდვილად არ მაქვს და არც ხელგაწვდილი სიარული შემიძლია. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული ესტრადა დაბინძურდა მდარე ხარისხის „ნაწარმით“, თითქმის არაფერი ჟღერს ფასეული, მაგრამ ასეთი სიმღერებისა თუ კლიპების ჩასაწერად და წარსადგენად, როგორც ჩანს, ფულიც ჩნდება ხოლმე...

იქნებ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოთქმულ ჩემს ამ საწუხარს გამოეხმაუროს ვინმე და ქართველებს ეს მცირე საჩუქარი მიუძღვნას...

## თვალსაწიერი

# დემოკრატია ჩვენი, ჯორცხენული

(პირველი გვერდიდან)

საქმე ის არის, რომ დღეს საქართველოში მავანისთვის თუ ნანატრი დემოკრატია ჰყვავის და იფურჩქნება, მავანისთვის პირდაპირ ფაშისტური თუ არაკჩეევისეული სულისშემხუთველი რეჟიმია გამეფებული.

რომელია მართალი?

არც ერთი!

იმიტომ, რომ ის, რაც ჩვენშია, არც ერთია და არც მეორე. მათი რაღაც სასაცილო ნაზავ-ჰიბრიდია — დიქტატდემოკრატია, ჯორივით, რომელიც არც ცხენია და არც ვირი, თუმცა რაღაც-რაღაც თვისებები (მაგალითად, ვირული გაქირი და ჯანი და ცხენის ახოვანება) ორივესი აქვს, მაგრამ გამრავლება, ანუ წინსვლა და განვითარება, არ ძალუძს.

როგორც ვთქვი, ანტიპოდთა ასეთი სიმბიოზი საერთოდ კი არ არის დამახასიათებელი, არამედ წმინდა წყლის ქართული მოვლენაა.

ამ ცამეტიოდე წლის წინათ პროლეტარიატის დიქტატურის ლენჯოდან კროლი კაკალივით გამომსხლტარი საქართველო ისე ჩაუვარდა ხახაში დემოკრატიას, როგორც ყვავის ნისკარტიდან გავარდნილი ყველი ხის ქვეშ მომლოდინე მელას.

და ეს „ჩაბარება-მიღება“ ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ საქართველომ ვერც კი მოასწრო იმის გააზრება, თუ რა ხილი იყო ეს დემოკრატია, ხოლო როცა გამოერკვა, უკვე იმ ზემოთ ნახსენები ჯორული დემოკრატიის პირობებში ცხოვრობდა, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით.

ეს „დემოკრატიული შედეგები“ კი, მაგალითად, ასეთია: წინა კვირაში საოლქო სასამართლომ „რუსთავი-2“-ის პროგრამა „60 წუთს“ 1 მილიონი ლარის გადახდა დააკისრა მისი ერთ-ერთი სიუჟეტის „გმირის“ პატივისა და ღირსების შეურაცხყოფის საკომპენსაციოდ. თავისუფლების ინსტიტუტის მებრძოლი ბირთვი და ჩვენი „დემოკრატი ახალგაზრდობის“ ზოგიერთი წარმომადგენელი იმავ საღამოსვე, ელვის სისწრაფით შეიკრიბა და გულშემოყრილ ტელემაყურებელს ამცნო, არავითარ შემთხვევაში სასამართლოს ამ გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებას არ მივცემთ, როგორ თუ ეს გაბედაო.

დემოკრატია, სადაც კანონი არ კანონობს, დემოკრატია კი არა, ანარქიაა, ანარქია კი აუცილებლად მოგანატრებს მტკიცე ხელს (მას გინდ დიქტატურა დაარქვით და გინდ პარტიტურა), თუმცა, თავისთავად, კანონის კანონობისათვის შემართული მტკიცე ხელი სწორედაც რომ დემოკრატიაა.

ასეთი, როგორც მოგახსენეთ, ჯორცხენული დემოკრატიით, ჰა და ჰა, მივადექით საპარლამენტო არჩევნებს.

მზადებაც შესაბამისად ჯორცხენულად მიდის.

საკუთარი თავის (პროგრამის) წარმოჩენის უებრო ხერხი დღეს პრეზიდენტის ლანძღვაა: „ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!“..

ეს უკვე უბრალო შავი პიარი აღარ არის, წუნწუხის ნიაღვარია, რომელიც დაუსრულებლად მოედინება.

ამ დროს კი, თუ იმ „საკუთარ თავს“ მოეცხო ეს პიარული წუნწუხი, პირდაპირ მეორედ მოსვლას ატეხავს და, რა თქმა უნდა, ამასაც უმალ... პრეზიდენტს დააბრალებს.

დაიმახსოვრეთ — არჩევნებამდე საქართველოში ისეთი „პიარინტერმედიები“ გათამაშდება, თქვენი მოწონებული.

დაიწყება „დოსიეების“ ამოფერთხვა და ჭორისა და მართალის ულმერთოდ გამომზეურება. თოკებზე გამოიფინება ერთმანეთის აბაზანებიდან მალულად ამოცლილი ჭუჭყიანი საცვლები. ერთი სიტყვით, ამოქმედდება ის მექანიზმი, რომელიც აქამდე მხოლოდ პრეზიდენტისა და ხელისუფლების (SIC! — იგულისხმება მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება და არავითარ შემთხვევაში საკანონმდებლო. საკანონმდებლო ხელისუფლება რატომღაც საკუთარ უნიათობას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ხელის შეწმენდით ნიღბავს) წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ოპოზიციაში ყველა ნაკადსა და უჯრედს თავისი ინტერესები აქვს (ზოგს კი უცხოელი პატრონებიც ჰყავს) და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ერთმანეთისთვის ზურგში დანის ჩარტყმას, რა თქმა უნდა, არ მოერიდება.

აი, პირველი დაზარალებულიც — პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, პიროვნება, რომელსაც პირადად მე გულწრფელად ვცემ პატივს და რომლის პოლიტიკური მომავალიც დიდად მეიმედება.

იგი ჩემსავით კიდევ ბევრს ეიმედება. და ეს მშვენივრად იციან იქ — ჩრდილოელი დიდი სამეზობლოს დედაქალაქში. მეტიც: იქ ქალბატონი ნინო აშშ-ის მიერ საქართველოს მომავალ პრეზიდენტად შერჩეულად დაიგულეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, მასზე შემოაგდეს კიდეც „პიარი“ გაზეთ „კომერსანტის“ გახმაურებული პუბლიკაციის სახით.

ახლახან „მართალ გაზეთში“ ქალბატონ ნინოს წინააღმდეგ დაიბეჭდა საზოგადოებრივი მოძრაობა „სიცოცხლისათვის“ ლიდერის გიორგი ყორღანაშვილის ერთობ მწვავე სტატია „ფქვილის პრინცესიდან ქატოს დედოფლობისკენ“. მე ამ წერილის გარჩევა არ დამისახავს (თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ სადაც სამართალი და მაღალი პოლიტიკური კულტურაა, ოპონენტთან, მით უფრო მანდილოსანთან, ამ ტონით არ უნდა ლაპარაკობდე), სხვა მაქვს სათქმელი. საქმე ის არის, რომ ორიოდ დღის წინათ ტელეეკრანით მოვისმინეთ იმავე გურამ ყორღანაშვილისა და გაერთიანებული დემოკრატების წარმომადგენლის გიორგი გაბაშვილის დიალოგი ამ წერილის თაობაზე. ბატონმა გ. გაბაშვილმა რატომღაც ასეთი აზრი განავითარა: ნინო ბურჯანაძის მიმართ პიარკამპანია გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ წამოიწყო, როცა „კომერსანტიდან“ გადმობეჭდა სტატია „ამერიკამ აირჩია საქართველოს პრეზიდენტიო“.

როგორც ჩანს, ამ ახალგაზრდა პოლიტიკოსივით ზოგიერთი მისი თანამოსაგრეც ფიქრობს (ან სურს ეს აზრი განავრცოს), რომ ეს მართლაც ასეა. ამიტომ იძულებული ვართ კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ წერილი გადმოვბეჭდეთ არა ნინო ბურჯანაძის გასაშავებლად, არამედ იმისთვის, რომ მკითხველის ყურადღება მიგვექცია, თუ როგორ ცდილობს რუსული პრესა ჩვენი პერსპექტიული და პოპულარული პოლიტიკოსების დისკრედიტაციას.

სხვათა შორის, ამ მიზნით რუსული გაზეთებიდან პრეზიდენტზე გამოქვეყნებული არაერთი პასკვილი გადმოგვიბეჭდავს!

ერთი სიტყვით, გამგებს უნდა გაეგო, მაგრამ, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ვერ გაიგო.

იმის ნათელსაყოფად, რომ პიარკამპანია „საქართველოს რესპუბლიკამ“ კი არ წამოიწყო, არამედ რუსულმა მასმედიამ, უფრო სწორად, გარკვეულმა ანტიქართულმა ძალებმა მასმედიის საშუალებით, ერთი რამ მინდა გავიხსენო. როდესაც რამდენიმე თვით წინათ მოსკოვში „ნორდ ოსტში“ ცნობილი ტერაქტი მოეწყო, რომელსაც უამრავი სიცოცხლე შეეწირა და მთელი მსოფლიო რუსულ ტელეარხებზე იყო მიჯაჭვული, ერთ-ერთმა მოსკოველმა „სპეცმა“ წამოაყენა აბსურდული ვერსია ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის მამის ბატონ ანზორ ბურჯანაძის რაღაც კავშირზე ჩეჩენ ტერორისტებთან. მაშინ სწორედ ჩვენმა გაზეთმა (ერთადერთმა!) ოპერატიულად გააბათილა ეს მონაჩმახი...

ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ კიდევ ერთხელ მივანიშნო თუ საიდან, ვინ და ჯერ კიდევ როდის დაიწყო ქალბატონ ნინოს დისკრედიტაციის ცდა.

ისე რომ, საარჩევნო ფინიშისკენ დიდი მსხვერპლითა და დანაკარგებით მივიწევთ.

კოჭებში ეტყობა: წლევანდელი არჩევნები მართლაც განსხვავებული და მძიმე იქნება. ამიტომ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის ცდა, მოგვხიბლოს „დასავლური სტილის“ სატელევიზიო სააგიტაციო კლიპებით, მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. ქართველ მაყურებელს, საქართველოს ელექტორატს, ალბათ, უფრო დამაჯერებელი, „ხელშესახები“ რამ სჭირდება, ვიდრე ყველა ტელეარხზე წამდაუწუმ დატრიალებული „ადამიანებზე ზრუნვა მისი უპირველესი მოთხოვნილებაა! ექიმი! წარმატებული ბიზნესმენი! მთელი ქვეყნის საყვარელი პოლიტიკოსი!“ და კადრები: ეს საყვარელი პოლიტიკოსი ავადმყოფის სასთუმალთან, თონესთან შოთების თვლისას, ღვინის კასრთან დანომვრისას, ზვარში, მისი სიყვარულით გადარეულ ხალხში, პატარებთან (ძია ლენინივით) და ა. შ.

საერთოდ, ჩვენი პოლიტიკოსები ცუდად იცნობენ თავის ელექტორატს და რაღაც გაუგებარ სატყუარებს სჩრიან.

მერე, ვითომ კიდევ ერთხელ მოტყუვდება ეს უკვე ასჯერ მოტყუებული ამომრჩეველი?

**ალეკო ასლანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დღეს — ხვალისათვის

# თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეულმა არ უნდა იარო?

## საგარეჯო და საგარეჯოელები

(პირველი გვერდიდან)

### 1. „ქართველი პრომეთე“

სწორედ ასე უწოდა საგარეჯოს გამგებელს თენგიზ ოქროცვარიძეს პარლამენტის დეპუტატმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა. თუ რატომ უწოდა, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ეპითეტის მოზიარე მისი ავტორიც გახლავთ. ამაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

„ნივამ“ სოფელ წყაროსთავთან გზიდან მარცხნივ გადაუხვია, სამოციოდე მეტრი გაიარა და გაჩერდა. ჩვენს თვალწინ გადაიშალა ამწეებით, სატვირთო მანქანებითა და მილებით სავსე სამშენებლო პოლიგონი. მოჩანდა ზოლი, რომელიც ტყიან მასივს აღმა მიუყვებოდა.

— რა ხდება? — ვეკითხები მუშებს შორის მოფუსფუსე თენგიზ ოქროცვარიძეს.

— ოო, დიდი საქმე კეთდება, — გაეღიმა. — თვენახევარში ქალაქ საგარეჯოს და სამი სოფლის — ნინოწმინდის, გიორგიწმინდისა და წყაროსთავის 5700 ოჯახს ბუნებრივი გაზი ექნება...

— 5700 ოჯახის გაზით უზრუნველყოფა პატარა ამბავი როდია. მით უმეტეს, რომ გვარიანად შეჭირვებულ ტყესაც შეღავათი მიეცემა, — ჩაურთო ბატონმა არმაზმა.

— კი, მაგრამ, რა საშუალებებით? ამას ხომ დიდი თანხები სჭირდება?



მილები ახალი გაზსადენისათვის.

— ჩემო ძმაო, სურვილი იყოს, თორემ, გაუკეთებელი ამ ქვეყნად არაფერია.

ხედავთ? სურვილიო! ფული კი არა, მონდომება და სურვილიო! როცა ეს ორი ცნება ერთმანეთს შეავსებს, ადამიანს წინ ვერაფერი დაუდგებაო, — ასე ბრძანა რაიონის გამგებელმა.

ალბათ არც ცდება.

— მაგრამ რაღაც საფუძველიც ხომ უნდა არსებობდეს? ხომ უნდა იყოს ხელჩასაჭიდი რამ, რაც იმ სურვილისკენ გიბიძგებთ? — ამასაც ბატონი არმაზი ამბობს.

აღმოჩნდა, რომ ასეთი საფუძველი არსებობდა და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს. უკვე რამდენიმე წელია, ნინოწმინდის მიდამოებში მუშაობს ქართულ-ინგლისური ნავთობსაძიებო კომპანია. აქ განხორციელებულმა ახალმა მეთოდმა — ჰორიზონტულად ბურღვამ დადებითი შედეგი გამოიღო. ნავთობს თან მოსდევს გაზი. მილსადენი, ახლა რომ შენდება, ნინოწმინდის თავში დადგმულ ჭაბურღილს მიუერთდება. ახალი ნედლეული მოსახლეობას ხარჯებს სათბობზე ოთხჯერ და მეტად გაუიაფებს. ეს, ჩვენს პირობებში, დიდი შეღავათია.

— ტრასის სიგრძე რამდენია? — შეწყვეტილ საუბარს ვაგრძელებ ბატონ თენგიზთან.

— ოთხი კილომეტრი.

— და ამხელა სამუშაოს თვენახევარში დაასრულებთ? რამდენი ხანია, რაც მუშაობთ?

— ორი კვირა. ობიექტს დათქმულ დროში ჩავაბარებთ.

— საკმარისი რაოდენობის მილები თუ გაქვთ?

— გვაქვს. ამაში ჩვენი დეპუტატი ჯამლეთ ბაბილაშვილი დაგვეხმარა — 150 ათასი ლარის ღირებულების მილი მოგვიტანა.

ბატონი ჯამლეთი, ყველა ჩვენგანისათვის კარგად ცნობილი პიროვნება, განზე დგას და იღიმება.

— ბაზის დირექტორი რომ არ ბრძანდებით, ვიცით. მაინც, სად იშოვეთ ამდენი მილი?

— ზოგი მეგობრობით, ზოგი — თხოვნით. ძალიან დაგვეხმარა თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე. მადლობის მეტი რა გვეთქმის, — ბრძანა ბატონმა ჯამლეთმა. — ამ საქმის მოგვარება დიდი ხანია, მსურდა, მაგრამ ჩემი ადრინდელი საქმიანობის გამო დრო ვერ გამოვნახე. აი, თენგიზმა — „ქართველმა პრომეთემ“, ჩვენი წინადადება სიხარულით მიიღო. როცა ასეთი კაცი მხარში დაგიდგება, გაუკეთებელი არაფერია.

აგაშენათ ღმერთმა! ზოგიერთი ამ მილებს „გააიმასქნებდა“ და ჯიბეში 40-50 ათას დოლარს ჩაიჩხრიალებდა. ისე ჩაიჩხრიალებდა, ვერც ვინმე შეედავებოდა.

ახლა მინდა ვკითხო ხაზინის ქურდებსა და შარაგზის ყაჩაღებს, ეს ფული ბაბილაშვილს ან ოქროცვარიძეს აწყენდა? ოქროცვარიძეს, რომელსაც, როგორც ამბობენ, მამის დანატოვარი სახლი წესიერად დღემდე არ გაუმართავს...

მერე, არ დაინახავს ამ სიკეთეს ქართველი კაცი? დაინახავს, უეჭველად დაინახავს!

და ჯარასავით ტრიალებენ სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი ძაბილაშვილი, ამწის მემანქანე მიხეილ თამაზაშვილი, მუშა დავით ელერდაშვილი, მძღოლი მერაბ ქურხული და სხვები. ავტომანქანიდან ისინი ჩვენს თვალწინ ცლიდნენ მილებს, რომლებსაც დღეს-ხვალ საგანგებოდ გაჭრილ თხრილში ჩააწყობენ. ოქტომბრის დასაწყისისათვის 5700 ოჯახი მიიღებს ასე ნანატრ საწვავს.

და, რა თქმა უნდა, ამაგიან ხალხს არაერთგზის დალოცავს.

— არც კი მჯეროდა, ამ საქმეს თავს თუ დავაღწევდით — ამბობს ჯამლეთ ბაბილაშვილი, თვითონაც საგარეჯოელი.

### 2. „მადა ჭამაში მოდის“

ზემოთ ვთქვი, ბოლო წლებში საგარეჯოში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა-მეთქი. ახლა ეს ნათქვამი უნდა დავაზუსტო და დავაკონკრეტო.

ქართულ-ინგლისური ნავთობკომპანია საგარეჯოელთა „გაჭირვების ტალკვესია“. როგორც თენგიზ ოქროცვარიძემ ბრძანა, კომპანია საგარეჯოს რაიონულ ბიუჯეტს ყოველწლიურად 1,5 მილიონ ლარს აძლევს. ამ ფულის გეგმაზომიერმა და ყაირათიანად ხარჯვამ ხელი უკვე დაატყო გზებს, სააღმზრდელო და სამკურნალო დაწესებულებებს.

— აქაც სასიკეთო ძვრებია. შარშან შევაკეთეთ და ავამუშავეთ ჩაილურის დაკონსერვებული სკოლა. შეკეთდა პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის, კაკაბეთის, საგარეჯოს მეოთხე საშუალო სკოლები. წლეულს სკოლებისა და საბავშვო ბაღების შესაკეთებლად 80 ათასი ლარი გავიღეთ. მოვაწესრიგეთ ნინოწმინდა-საგარეჯოს გზა, ქალაქის შიდა გზები. ამასაც გვარიანი თანხები დასჭირდა, — ამბობს გამგებელი.

— სხვებიც თუ სარგებლობენ თქვენი ყურადღებით?

— შეძლებისდაგვარად — კი. ჩვენთან უფასოა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ერთი ახალი მანქანაც შევუძინეთ. უფასოდ ვკვებავთ ოთხმოცამდე მარტოხელასა და უმწეოს. ოთხი წელია, უფროსი კლასების მოსწავლეებს სწავლის საფასურს არ ვახდევინებთ.

— კახეთს, ტრადიციულად, სასმელი წყალი უჭირს. თქვენთან როგორ არის საქმე?

— ზედა ყანდაურიდან რვა კილომეტზე ახალი მილსადენი გავიყვანეთ. წლეულს სასმელ წყალს პირველად მიიღებენ ბადიაურელები. პრობლემა მთლიანად მოუგვარდებათ ხაშმელებსაც. სასმელი წყლით დაკმაყოფილდება უჯარმის ნაწილიც. ვფიქრობ, თანხებს კვლავაც გამოვნახავთ და მუშაობას მომავალშიც გავაგრძელებთ.

— დღეს საბიუჯეტო ორგანიზაციებს ძალიან უჭირთ ხელფასებისა და საშვებულებო თანხების გაცემა. ზოგან დიდი დავალიანებები დაუგროვდათ...

— ჩვენ ამ მხრივაც სინდისი სუფთა გვაქვს — არავითარი დავალიანება არ გაგვაჩნია. პედაგოგებს ივლისში საშვებულებო თანხებიც დავურიგეთ.

ისევ გაზით მომარაგების საკითხს უნდა დავუბრუნდე. რაიონში რამდენიმე გაზგასამართი სადგური გავხსენით. წარმოიდგინეთ, დიდი ხნის მიგდებული ავტომანქანა ბევრმა აამუშავა, რადგან მისი ექსპლუატაცია ბენზინთან შედარებით სამ-ოთხჯერ უფრო იაფი უჯდება. ამან საგრძნობლად გააუმჯობესა სავარგულების მოვლა-დამუშავება, რადგან ტრანსპორტის პრობლემა მოიხსნა...

ვის მოუბრუნდება ენა აუგის სათქმელად? კი, ბატონო, მოსაგვარებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის, მაგრამ, შესაძლებლობის ფარგლებში ხომ ბევრი საქმეც კეთდება?

მაგრამ მოდით, თენგიზ ოქროცვარიძეს ვენდოთ კიდეც და შევამოწმოთ კიდეც. ამით, მე მგონი, არაფერი დაშავდება.

და ჩვენი „ნივა“, ახლა უკვე კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბიძინა სონღულაშვილის თანხლებით სოფელ უდაბნოსკენ მიეშურება.

### 3. „შენ აქ უნდა დასახლდე!“

სოფელი უდაბნო ორი ათეული წლისაც არ არის. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ მეღეა მეზვრიშვილის მდივნობისას დაიწყეს. ბევრს ეეჭვებოდა კიდეც, რომ აქ ქართველი კაცი ფეხს მოიკიდებდა. სოფელი ძირითადად სვანებისთვის იყო განკუთვნილი. გვახსოვს, საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე სტიქიურმა უბედურებებმა არაერთგზის როგორ დააზიანა. შეჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახებს ბარში ჩამოსახლება შესთავაზეს. ვინ წამოვიდა, ვინ — არა.



სოფელ უდაბნოს საშუალო სკოლა.

უდაბნოში სულ 240-მდე სახლი აშენდა. სვანთაგან, ვინც „აფრენაზე“ იყო, არ დაახანა, სხვაგან დაიბუდა, 170 ოჯახი კი აგრძელებს ცხოვრებას და თავისი საქმეებით აქაურობას ალამაზებს.

აი, ამ უდაბნოსკენ გვიჭირავს გეზი. ჩვენს „ნივაში“ თენგიზ ოქროცვარიძე ზის.

— ამ სოფლის მარტო წყლით მომარაგება წელიწადში 40 ათასამდე ლარი გვიჯდება. ორჯერადი გადაქაჩვაა საჭირო, რომ წყალმა 40 კილომეტრი გამოიაროს და დანიშნულების ადგილამდე მივიდეს, — მიუყვება ბატონი თენგიზი.

გზა, დროის მიხედვით თუ შევაფასებთ, შესანიშნავია — ასფალტი მხოლოდ აქა-იქ არის აყრილი. მე თან მასპინძელს ვუსმენ, თან უკიდეგანო მთა-გორებს ვათვალიერებ. იცოცხლე, ბალახი ყველგან უხვად არის, მაგრამ როგორც თენგიზი ბრძანებს, კაი ხანია, მიწას ნამი არ ღირსებია. ახლოც და შორსაც მზესუმზირები ყელყელაობს. — ორსამ დღეში თუ არ გაწვიმდა, ვერაფერს მივიღებთ, — წუხს თენგიზი.

შორს, ტაფობში, სოფელი უდაბნო ხან გამოჩნდება, ხან ჩაიკარგება. უკანასკნელი კილომეტრებიც გავლიეთ, გზიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ და საშუალო სკოლის შენობასთან შევჩერდით. გარედანვე ეტყობა, რომ გახურებული სარემონტო სამუშაოებია. თენგიზ ოქროცვარიძე გვაცნობს თავის მოადგილეს გია ქვლივიძეს, სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეს გაიოზ ჩართოლანს და სკოლის დირექტორს ივანე ჯანაშვილს. მე უკვე ვიცი, რომ შენობის წესრიგში მოსაყვანად 10 ათასამდე ლარი გაიღეს. პროფესიულმა ინტერესმა თავი შეახსენა ბიძინა სონღულაშვილს — ის დაწვრილებით ინფორმაციას მოითხოვს, მერე მასთან ერთად შენობაში შევდივართ. რწმუნებული მუშტრის თვალით ამოწმებს უკვე გაკეთებულს და მითითებებსაც იძლევა.

— ხომ არ დაგავიწყდათ, 28 აგვისტოსთვის საპატიო სტუმრები გვეწვევიან და ყველაფერი მზად უნდა იყოს, — ამბობს ის.

— 23 აგვისტოს ყველა სამუშაოს დავასრულებთ, — იმედიანად ეუბნება ივანე ჯანაშვილი.

სკოლაში 160 მოზარდი სწავლობს. 11 საკლასო ოთახია. სარემონტო სამუშაოებს ადგილობრივი ძალებით ახორციელებენ. იცვლება მოძველებული კარ-ფანჯარა, ახლდება დგამავეჯი — სკამები, მერხები, დაფები, მაგიდები... ინვენტარი საკმარისია? — კითხულობს რწმუნებული. — 30 ახალი მერხი და ასამდე სკამიც რომ მქონდეს... — ნატრობს სკოლის დირექტორი. რწმუნებული მობილურით სადღაც რეკავს და რღაცას აზუსტებს, მერე დირექტორს ეუბნება: — ყველა ძველი სკამი მოგვეცით და 23-ში უკლებლივ ჩაგაბარებთ, მერხებითაც შემოგეშველებით. მერე რწმუნებული პირველკლასელთა რაოდენობით ინტერესდება. წლეულს პირველ კლასში 20 მოზარდი ეყოლებათ.

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 219, ორშაბათი, 18 აგვისტო, 2003 წელი.



# თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეულმა არ უნდა იარო?

## საგარეჯო და საგარეჯოელები

(მესამე გვერდიდან)

— ოცდარვაში ოცივესთვის მოვიტანთ ჩანთებს, წიგნებს, რვეულებსა და კალმებს, — ამბობს რწმუნებული. ამ კომპლექტს ბავშვებს საჩუქრად გადასცემენ.

— გია, შენ აქ უნდა დასახლდე! — მიმართავს თავის მოადგილეს თენგიზ ოქროცვარიძე, — მიხედე, რომ ხელი არაფერში შეეშალოთ.

გიამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. მერე მესმოდა, როგორ ეუბნებოდა გამგებელს, ხვალ ორიოდე საათით საგარეჯოში ამოვალ, თეთრეულსა და პერანგებს წამოვიღებო.

აი, ასეთი საქმიანი იყო ეს ხანმოკლე შეხვედრა. დავემშვიდობეთ ჩვენს მასპინძლებს — დავით გარეჯის მონასტერ-ლავრაში უნდა ავიდეთ. დღეს იქ მართლაც დიდი, საშვილიშვილო საქმე კეთდება...

### 4. „უგულოდ გაკეთებულ საქმეს მადლი არ სცხია“

დავით გარეჯი VI საუკუნის პირველ ნახევარში ანტიოქიიდან მოსულმა მამა დავითმა დააარსა. მისი პირველი წინამძღვარიც ის გახლდათ. მან ხელი შეუწყო ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცებას. მონასტერთა საერთო რიცხვმა თორმეტს მიაღწია. დავითის ლავრა ამ სამონასტრო კომპლექსის ცენტრი იყო. ჩამოყალიბდა უზარმაზარი ქსელი — ჩიჩხიტური, თეთრსენაკი, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა წამებული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერან გარეჯა, პირუკულმართი, პატარა ქვაბები. სამონასტრო კომპლექსი უმოწყალოდ დაანგრიეს ბერქა ყაენმა და თემურ ლენგმა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ სულხან-საბა ორბელიანი, ტიმოთე გაბაშვილი და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ ხელნაწერთა მდიდარ ფონდს. მერე... XIX საუკუნეში მონასტრებმა არსებობა შეწყვიტეს...

არ ვიცი, მკითხველთაგან ვის არ უნახავს დავით გარეჯა — ჩვენი წინაპრების გენიის უტყვი მოწმე. ხომ ამდენი საუკუნე გავიდა, ხომ ამდენჯერ დაარბია ურიცხვმა და დაუნდობელმა მტერმა, რაც დროჟამს და მტრის ხელს გადაურჩა, მაინც დიდებულია! ვერანაირი ენა ვერ აღწერს ლავრის სიმშვენიერეს, შემოჯარული გორების ფერთა გამას. ლავრა — ეს არის ურთულესი კომპლექსი კლდეში ნაკვეთი სენაკებით, დაკიდებული კიბეებით, ქვის ბუნებრივი თუ ნაგები გალავნებით, აივნიანი კოშკებით. კომპლექსში აღდგენითი სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა წამოიწყო, ახლა კი ფირმა „გამარჯვების“ თანადგომით საქართველოს საპატრიარქო აგრძელებს.

— შარშან, მაისში, აქ ბრძანდებოდა ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი, — მეუბნება თენგიზ ოქროცვარიძე. — გაეცნო სასულიერო პირთა მძიმე ყოფას, მონასტერ-ლავრის უკიდურეს მდგომარეობას და ჯიბეს გაიკრა ხელი — საკმაოდ სოლიდური თანხა დატოვა, აქაურობას მიხედეთ და შემწეობას არც შემდგომში მოგაკლებთო. აქედან დაიწყო ყველაფერი. რაიონმა ლავრას გადასცა 500 ჰექტარი მიმდებარე ტერიტორია და პირუტყვის სადგომები, საპატრიარქომ 20 დეკეული შეიძინა, ცოტაოდენი ცხვარი ჩვენც შევწირეთ. ერთი სიტყვით, მეცხოველეობის ფერმა შექმნეს.

ალბათ გვახსოვს, თავის დროზე ყველა მონასტერს თავისი სახნავ-სათესი ჰქონდა და პირუტყვიც ბლომად ჰყავდა. მოწეული მოსავლით თავის მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებდა და აღმშენებლობით საქმიანობასაც ეწეოდა. ეს ძველი ტრადიციები უეჭველად უნდა აღდგეს — მონასტრებს საკუთარი შემოსავლის წყარო გაუჩნდეს. მაშინ ისინი უფრო უკეთესად შეასრულებენ მისიას, რომელიც ქვეყნისა და ხალხის სამსახურისთვის ღმერთმა დააკისრა.


მეუფე დავით ალავერდელი.

ახლა კი მოვუსმინოთ საპატრიარქოს არქიტექტორს, აღდგენითი სამუშაოების პროექტის ერთ-ერთ ავტორს პაატა ნუცუბიძეს:

— ამ ლავრაში დაკრძალულია მისი დამაარსებელი დავით გარეჯელი. პროექტის თანაავტორია ჩემი კოლეგა თენგიზ გაბუნია. მიზანი ერთია: შესრულდეს გადაუდებელი, პირველი გასამაგრებელი სამუშაოები. ყველაფერი ძველებურად რომ აღდგეს, ერთი ადამიანის სიცოცხლეც არ ეყოფა...

ძირითადად გადაწყდა ძველი კომპლექსის ახალთან ადაპტაცია. აქ იქნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია, ეპარქიის მღვდელმთავრის სასახლე. შეირჩა რამდენიმე ოთახი, რომელიც აუცილებელ პირობებს აკმაყოფილებს. კეთილმოეწყო ეზო, შეკეთდა ბილიკები, შეილესა და გარემონტდა ნაგებობები. ყველაფერი ძველი ნახაზებისა და ფოტომასალების მიხედვით გაკეთდა, ე. ი. მემორიალური მხარე არ დარღვეულა. აი, ამ ბანზე, სადაც ახლა ვდგავართ, ხის მასიური მოაჯირი დაიდგმება. 28-ში კათოლიკოს-პატრიარქი მობრძანდება, ამიტომ ვჩქარობთ...

„სიჩქარე“ იმაში გამოიხატება, რომ თვით სასულიერო პირებიც ხელებდაკაპიწებული შრომობენ — ეზიდებიან ქვასა და ხსნარს, ხელს ახმარენ დურგლებსა და ხუროებს. მძიმე და მომქანცველია ეს შრომა, მაგრამ, ალბათ, ზნეობრივი სრულყოფის წყაროც არის.

მერე ავდივართ საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII სენაკში, სადაც ის ბერად აღიკვეცა. აქ მუშაობენ შიბლიანელი შაქრო ხუროშვილი და ოზურგეთელი დურმიშხან ხომერიკი. ზემოდან დავხედეთ ალექსანდრე მეორის კოშკს, რომელიც აგრეთვე შეკეთებას თხოულობს. ვათვალიერებთ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით აღდგენილ განაპირა შენობას. აქ არის წმინდა სამების ტაძრის მოძღვარი, ხუროთმოძღვრების ცენტრის ხელმძღვანელი მამა ექვთიმე, მთავარი მასპინძელი — მეუფე დავით ალავერდელი. ყველაფერს, რაც აქ კეთდება, სწორედ მისი თვალი აკონტროლებს.

იმ „განაპირა შენობაში“, ზემოთ რომ ვახსენე, დამაგვირგვინებელ სამუშაოებს ასრულებენ „საკალატოზო საქმის“ უფროსი გიორგი ცეცხლაშვილი, „სადურგლო საქმის“ უსტამბაში შილდელი ვალერიან შპეტიშვილი, მუშები სოსო შპეტიშვილი, რუსთაველი მეკაფელე დავით ჩიქოვანი, წინამძღვრიანთკარელი მებუხრე დავით წინამძღვრიშვილი... მომთავრებულია მოაჯირიანი აივანი, საიდანაც სიყვითლეშეპარული გორაკები მოჩანს. ყველას ყურადღება მიიქცია ბოლნისის მომწვანო ქვით ნაგებმა ბუხარმა, რომელიც ნათლად მეტყველებს დავით წინამძღვრიშვილის ოსტატობაზე. თითოეულ ქვას ზუმფარით აკრიალებს და დინჯად სვამს თავის ადგილზე, თან გვეუბნება, უგულოდ გაკეთებულ საქმეს მადლი არ სცხია, რასაც ხელს მოჰკიდებ, სიყვარულის კვალი უნდა აჩ-


დავით გარეჯის ლავრა.

ნდესო. ეს ხალხი შორს არის დედაქალაქის ორომტრიალისაგან. რაში მჭირდება პარლამენტი, სუფრის თავმჯდომარე არ მირჩევნიაო? — იცინის დავითი და ბატონ ჯამლეთს ეუბნება, ჩემი რა გიკვირთ, სხვები უკეთესი ხელოსნები არიანო.

ნეტავ ასეთი თავმდაბლობა ჩვენს ზოგიერთ პოლიტიკოსსაც ჰქონდეს!

### 5. „დავითის ცრემლები“ და ერთი კაცის „საიდუმლო“

ვიღაცამ წყალი ინატრა.

— მამა დავითის წყაროზე უნდა ავიდეთ, გვეუბნებიან მასპინძლები. მას „დავითის ცრემლებსაც“ ეძახიან. ლავრის ყველაზე მაღალ წერტილზე მდებარეობს. გვერდს ვუქცევთ ვოლიერში მონებივრე კავკასიურ ნაგაზებს ბოთასა და ბალოს. ამათი სიფხიზლის წყალობით აქ უცხო კაცი ვერ გაიჭაჭანებს. ჩვენ სრული სიმშვიდით შემოგვცქერიან — ეტყობა, გრძნობენ, რომ კეთილი მისიით მოვედით. ლოდებზე გამოკვეთილი ვიწრო საფეხურები აღმა მიუყვება. ფეხდაფეხ მოგვდევს ერთი ჟურნალისტი, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინათ სახსრების სამი უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა. ჯიუტია! ამ „სიჯიუტემ“ წაიყვანა იგი თავის დროზე ავღანეთში, ჩერნობილში.

ერთ-ერთი საუბრისას სწორედ ეს გაიხსენა ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა. მასზე ნამდვილად ღირს ორიოდე თბილი სიტყვის თქმა. ბევრი თანამდებობადაკარგული მინახავს გაბოროტებული, რომელიც, როგორც წესი, ოპოზიციაში გადაბრძანდა. ყოფილი გენერალური პროკურორი ღირსეულად შეხვდა ბედის ცვალებადობას და ახლა, როგორც დეპუტატი, თავის ამომრჩევლებს კეთილსინდისიერად ემსახურება. ეს იმას ნიშნავს, რომ ღირსება ადამიანის ცხოვრების ნორმა უნდა იყოს. სხვანაირად იგი პირველივე შემთხვევისას გაფერმკრთალდება.

ამასობაში ავაღწიეთ „დავითის ცრემლებს“. გადმოცემის თანახმად, როცა გარეჯელ მამებს სასმელი წყალი შემოაკლდათ, დავითი ამ ადგილზე ამობრძანდა და ცრემლმორეულმა ღმერთს შესთხოვა, წყალი მოგვეციო. არ გასულა დიდი ხანი და პატარა გამოქვაბულში წყალმა იწყო დენა. როგორი გვალვაც უნდა იყოს, უზარმაზარ, დაქანებულ ლოდზე წყალი მოწვეთავს და ჭურჭელში გროვდება. დავითის ლავრის მსახურნი სწორედ მისით იკლავენ წყურვილს.

ქვის ლოდზე გარკვევით მოჩანს ამოკაწრული ასოები „РВБ“, „БУБ“. რუსი ჯარისკაცები ზემოდან მალულად გადმოდიოდნენ და ამ „საჩუქრებს“ ტოვებდნენო, გვითხრეს. სწორედ იმ ასოებმა გამახსენა საქტელერადიოს იმდრონდელი თავმჯდომარის ნაამბობი, რომელიც პირველად მე გამანდო.

ოთხმოციან წლებში, ეროვნული მოძრაობის ზეობის ჟამს, საზოგადოება, უწინარესად, სტუდენტობა კატეგორიულად მოითხოვდა დავით გარეჯაში სამხედრო პოლიგონის გაუქმებას ან სხვაგან გადატანას, რადგან ჭურვები თოთხმეტი საუკუნის უნიკალურ ძეგლს გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი იაზოვმა ინება ჩამოსვლა. კომიტეტის თავმჯდომარემ ოპერატორს ხელი მოჰკიდა და დავით გარეჯის სამხედრო პოლიგონზე წავიდნენ. პოლიგონის საკომანდო პუნქტში სამხედროებს დიდი რუკა (სრულიად საიდუმლო) გაეშალათ და საგულდაგულოდ ჩაჰკირკიტებდნენ. ოპერატორი დაუყოვნებლივ თავის საქმეს შეუდგა, იღებს, იწერს გენერალების თათბირს, გენერალი იაზოვი გონს გვიან მოეგო და მკაცრად იკითხა:

– Что вы делаете?
– Снимаем...
– А кто вам разрешал?
– Но и никто не запрещал...

მრისხანე გენერალმა ხელი ჩაიქნია.

და მოხდა მანამდე უპრეცედენტო ამბავი: საქართველოს ტელევიზიით გადაიცა რეპორტაჟი პოლიგონიდან იმ სამხედრო რუკით და იმ გენერლების უკანდახევით.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ღია ეთერში გადაიცა უნიკალური რეპორტაჟი გასაიდუმლოებული სამხედრო ობიექტიდან.

იქნებ ესეც იყო ერთი პატარა მარცვალი, რამაც სამხედრო ბოსებს პოლიგონზე სროლების შეწყვეტა აიძულა?

სამხდროები წავიდნენ. აი, მათი ამოჩხაპნილი ის რამდენიმე ასო კი დარჩა. დროებით, რადგან რესტავრატორები ამ შტოსაც მალე მოშლიან.

ცხადია, „დავითის ცრემლები“ ვიგემეთ, ერთხელ კიდევ გადმოვხედეთ ხელისგულისოდენა ადგილს, სადაც პატარა სამრეკლო, წითელკრამიტიანი პაწაწკინტელა კოშკები ერთმანეთს სიდიადეში ეჯიბრებოდნენ.

ღმერთო, რა სილამაზეა!

და რა თაყვანისცემაა იმ ადამიანებში, ვისი ნებითაც დავით გარეჯის მონასტერი-ლავრა მეორე სიცოცხლეს იწყებს...

რაც შეეხება სათაურს: ის „ბიბლიიდან“ არის აღებული...

ელგუჯა ლებანიძე.
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი-დავით გარეჯა.

ჯემალ ჰსარაძის ფოტო.


შეველეხი კედლების აღდგენა-გამაგრება.


მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# სპორტი

## კონტაქტები: საქართველო-არგენტინა

# მიმზიდველი იდეა,

## რაც ქართულ ფეხბურთს წაადგება



**საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე ნიკო პატარქალიშვილი არაერთხელ იყო ჩვენი გაზეთის სტუმარი. მასთან საუბრები ეხებოდა ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა ქართული ფეხბურთი და მისი განვითარების გზები.**

**ბატონი ნიკო რამდენჯერმე საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა არგენტინაში. შეხვდა იქაურ ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრის გენერალურ დირექტორსა და მთავარ მწვრთნელს ედუარდო დელგადოს, უმაღლესი დონის საფეხბურთო სპეციალისტს როდრიგესს, რომელიც ერთ დროს სესარ ლუის მენოტისთან მუშაობდა (სხვათა შორის, ორივე ამ პიროვნებასთან „ინტერვიუ ინტერნეტით" გამოქვეყნდა „ლელოში" და რედაქციის თავაზიანი ნებართვით ჩვენმა გაზეთმაც გადმობეჭდა). ამ ცნობილ პიროვნებებთან საქმიანი ურთიერთობებით შეძლო ნიკო პატარქალიშვილმა ოკეანის გაღმა გაეგზავნა ორი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი — დავით ჯვარშეიშვილი და გიგი კაპანაძე. იმედია, პირველ მერცხლებს სხვებიც მიბაძავენ, რადგან ოსტატობა აიმაღლო მარადონას სამშობლოში, ცოტას როდი ნიშნავს.**

ამ ბოლოს დროს უკვე კონტაქტების გაღრმავებაზეა ლაპარაკი, ანუ არგენტინაში არა მარტო ფეხბურთელების, არამედ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მწვრთნელების წაყვანაზეც.

— ბუენოს-აირესში არგენტინის საფეხბურთო მწვრთნელთა ასოციაციის ინიციატივით 11-13 ნოემბერს მწრთნელთა საერთაშორისო კონგრესი გაიმართება, — მითხრა ნიკო პატარქალიშვილმა. იგი ეძღვნება არგენტინის ნაკრებისა და „რივერ პლეიტის", მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელს ალფრედო დი სტეფანოს, რომელიც წლების განმავლობაში „ბოკა ხუნიორს", „რივერ პლეიტს" და ესპანეთის „ვალენსიას" წვრთნიდა.

კონგრესს უხელმძღვანელებენ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა, რომელიც ამავდროულად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა. კონგრესზე მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან არიან მიწვეული ცნობილი ფეხბურთელები და ტყავის ბურთის ექსტრაკლასის სპეციალისტები, მათ შორის — ლუის მენოტი, იოჰან კრუიფი, კარლოს ბილარდო, ემე ჟაკე და სხვები, ცხადია, როგორც საპატიო სტუმრები. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ ვარსკვლავები ეწვევიან არგენტინას. დი სტეფანოს პატივსაცემად გამართულ კონგრესში მონაწილეობა შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს, მათ შორის — ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, რასაკვირველია, საქართველოდანაც. ყოფილი საბჭოეთიდან მსურველთა შეკრებისა და კონგრესზე წარდგენის უფლებამოსილება ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა მე მომანიჭეს.

**— როგორია კონგრესის პროგრამა და რას ისახავს იგი მიზნად?**

— უპირველესი იქნება ფეხბურთის მწვრთნელთა და სპეციალისტთა დაახლოება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება. დამეთანხმებით, მსოფლიო ფეხბურთს ბოლო წლებში არაერთი თავსატეხი გაუჩნდა. ამ პრობლემებს კი დროული მოგვარება სჭირდება. მეგობრობის განმტკიცებით, მერწმუნეთ, ფეხბურთი უფრო გამოცოცხლდება, რაც ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას გამოიწვევს. კვალიფიციური მწვრთნელები ნებისმიერ ქვეყანაში შეძლებენ ფეხბურთელთა კლასის ამაღლებას, რაც ბუნებრივია, ქომაგთა რაოდენობას გაზრდის სტადიონებზე, რეკლამას მეტი ფასი დაედება, ფეხბურთელების ტრანსფერებიდანაც გვარიან შემოსავლებს მიიღებენ კლუბები.

საგულისხმოა ისიც, რომ ბუენოს-აირესში კონგრესის მიმდინარეობისას დაგეგმილია მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები. კერძოდ, სტუმრებს მიიწვევენ არგენტინული ტანგოს საღამოზე, გაუჩოს ტრადიციულ დღესასწაულზე, გურმანები ეროვნულ სამზარეულოს დაიგემოვნებენ.

**— ეს სიამოვნება რამდენი დაჯდება და ხარჯებს ვინ გაიღებს?**

— კონგრესის მონაწილეები საკუთარი სახსრებით ეწვევიან ბუენოს-აირესს. ღირებულებას მოვგვიანებით შეგატყობინებთ, როცა არგენტინიდან ოფიციალურად გვაცნობებენ ფასებს. თუმცა, აქვე მინდა დავძინო, რომ ოკეანის გაღმა სტუმრობა მხოლოდ კონგრესზე სამდღიანი დასწრებით არ ამოიწურება. პროგრამა ორკვირიანია. სტუმრები დაესწრებიან ეროვნული ჩემპიონატისა და არგენტინა-ბოლივიის ნაკრები გუნდების მატჩებს, იმოგზაურებენ ქვეყანაში, შეხვდებიან ცნობილი კლუბების მწვრთნელებს. ერთი სიტყვით, ყოველი დღე დატვირთული და საინტერესო იქნება.

**— მსურველები ხომ არ გამოჩნდნენ?**

— დარწმუნებული ვარ, ასეთები მრავლად იქნებიან როგორც საქართველოდან, ისე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ოღონდ ეს არის, რომ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას ახლა ვიწყებთ და ინფორმაციაც კონგრესის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გამოვაქვეყნე „ლელოში". ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი წინაააა.

**— ბატონო ნიკო, კონგრესზე საკმაოდ ვილაპარაკეთ. იქნებ, ისიც გვითხრათ, საქართველოში არგენტინელ მწვრთნელთა შესაძლო მოწვევის საკითხი როდის გადაწყდება? ვისენტე კაიეტანო როდრიგესის საუბრიდან ჩანს, რომ არგენტინელი მწვრთნელი მზად არის, ქართველ ფეხბურთელებთან იმუშაოს.**

— მართალს ბრძანებთ. არგენტინაში სამი თვე ვიყავი და ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ შევხვდი ბატონ კაიეტანოს, რომელიც წარმოშობით ბასკია და კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს. ჩემთან საუბრებისას მან მრავალჯერ გაუსვა ხაზი ქართველთა ნიჭიერებას და დიდ საფეხბურთო პოტენციალს.

ნაკრების მწვრთნელად თუ მოიწვევენ, ბატონი როდრიგესი მზად არის, საქართველოში ჩამოვიდეს თავისი გეგმებით და პრინციპებით. იგი თან ჩამოიყვანს ორ ასისტენტს — დამხმარე მწვრთნელს და ფიზიკური მომზადების სპეციალისტს. კაცი, რომელიც მენოტის მარჯვენა ხელი იყო, დარწმუნებული ვარ, ქართულ ფეხბურთს ააყვავებს. მისი ჩამოსვლით ჩვენი ქვეყანა მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა.

**— მაღალი დონის სპეციალისტს, ცხადია, სათანადო ანაზღაურებაც დასჭირდება. შევძლებთ?**

— ბატონმა როდრიგესმა კარგად იცის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. თავად მითხრა, რომ იგი მცირედი ანაზღაურებითაც დიდი სიამოვნებით იმუშავებდა მაღალი კულტურის ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძე უდგას სათავეში. არგენტინელმა მწვრთნელმა ბევრი რამ იცის ქართველებისა და ბასკების ახლობლობაზეც.

**— ჩვენს შორეულ ნათესავს ანაზღაურების ოდენობაც ხომ არ დაუკონკრეტებია?**

— იმ ორ თანაშემწესთან ერთად წლიური შემოსავალი, შესაძლოა, ერთი საშუალო დონის ევროპელი სპეციალისტის ხელფასის ტოლი იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თაობაზე მე უკვე ვაცნობე საქართველოს პრეზიდენტს. ბატონი ედუარდი ჩვეული გულისხმიერებით გაეცნო ჩემს წერილს და იგი ირაკლი მეძმარიაშვილს ასეთი რეზოლუციით გაუგზავნა: **„განიხილეთ წერილში შემოთავაზებული წინადადება. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგინეთ თქვენი დასკვნა. რა თქმა უნდა, იდეა მიმზიდველია".**

ვფიქრობ, ბევრი რამ კონგრესის მიმდინარეობისას გაირკვევა. იქ ხომ ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელებსაც მიიწვევენ.

**— ბატონო ნიკო, თქვენ მიერ არგენტინაში ოსტატობის ასამაღლებლად გაგზავნილ ფეხბურთელებზე რა ისმის?**

— დავით ჯვარშეიშვილი ახლახან რამდენიმე დღით თბილისში იყო ჩამოსული. მითხრა, რომ იქაურ რეჟიმს შეეჩვია, ვარჯიშებით კმაყოფილია. მერწმუნეთ, როდრიგესის ჩამოსვლა თუ მოხერხდა საქართველოში, ორ ქვეყანას შორის საფეხბურთო კონტაქტები ინტენსიური გახდება, რაც ქართულ ფეხბურთს სამომავლოდ აუცილებლად წაადგება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

## ფეხბურთი

# ეროვნული ჩემპიონატების ტაბლო

**შაბათ-კვირას ევროპის სტადიონებზე ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ეს დღეები სასტარტო გახლდათ ინგლისელებისთვის. პრემიერლიგის გუნდებმა შაბათს პირველი ქულები ჩაიწერეს. გაუწყებთ ამ შეხვედრათა შედეგებს: „ბირმინგემი" — „ტოტენჰემი" 1:0, „პორთსმუთი" —„ასტონ ვილა" 2:1, „არსენალი" — „ევერტონი" 2:1, „ბლექბერნი" — „ვულვზი" 5:1, „ფულემი" — „მიდლსბრო" 3:2, „ლესტერი" — „საუთჰემპტონი" 2:2, „მანჩესტერი" — „ბოლტონი" 4:0.**

**გერმანია.** ბუნდესლიგა. III ტური. „კაიზერი" — „ვერდერი" 0:1, „გლადბახი" — „შტუტგარტი" 0:1, „ჰერტა" — „ფრაიბურგი" 0:0, „ჰანზა" — „აინტრახტი" 3:0, „ლევერკუზენი" — „ჰანოვერი" 4:0, „ბაიერნი" — „ბოხუმი" 2:0, „დორტმუნდი" — „მიუნხენი" 3:1.

**„ლევერკუზენი" 9 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. მას ორორი ქულით ჩამორჩებიან: „დორტმუნდი", „ბაიერნი", „ვერდერი" და „შტუტგარტი".**

**საფრანგეთი.** I დივიზიონი. III ტური. „ოსერი" — „სტრასბურგი" 3:2, „გენგამი" — „ბორდო" 1:3, „ლე მანი" — „ნიცა" 1:1, „მეცი" — პსჟ 0:1, „მონაკო" — „ბასტია" 2:0, „მონპელიე" — „ლიონი" 0:2, „სოშო" — „რენი" 1:1, „ტულუზი" — „ლილი" 0:3, „აიაჩო" — „ნანტი" 1:3.

**სამი ტურის შემდეგ „ლილი" და „მარსელი" 9-9 ქულით პირველ ადგილზე არიან. 7 ქულით მესამეზეა „ნიცა".**

**ბელგია.** I დივიზიონი, II ტური. „გენტი" — „ანდერლეხტი" 1:3, „ანტვერპენი" — „ვესტერლო" 2:1, „ბევერენი" — „სენტ. ტუიდენი" 1:4, „გენკი" — „შარლერუა" 2:0, „ლუვიე" — „ჰეუსდენი" 2:0.



**უდანაკარგოდ „ანდერლეხტი" დაწინაურდა. 4-4 ქულით „სენტ ტუიდენი" და „ლუვიე" ჯერჯერობით მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ (სამმა სამქულიანმა გუნდმა გუშინ გვიან გამართა ორთაბრძოლები).**

**შოტლანდია.** პრემიერლიგა. II ტური. „აბერდინი" — „რეინჯერსი" 2:3, „სელტიკი" — „დანდი იუნაიტედი" 5:0, „კილმარნოკი" — „პარტიკი" 2:1, „ლივინგსტონი" — „მოზერუელი" 1:0.

**„რეინჯერსი" — 6, „სელტიკი", „ლივინგსტონი" — 4-4 ქულა.**

**ავსტრია.** ბუნდესლიგა. V ტური. „პაშინგი" — „შტურმი" 2:1, „ადმირა" — „ზალცბურგი" 4:0, „მატერსბურგი" — „ბრეგენცი" 3:2.

**„რაპიდი" — 12, „გრაცერი" — 9, „მატერსბურგი" — 8 ქულა.**

**ნორვეგია.** მე-17 ტური. „ლილესტრიომი" — „ბრიონი" 4:0, „ოდ გრენლანდი" — „ტრომსიო" 5:0, „სოგნდალი" — „ვოლერენგა" 0:0, „ვიკინგი" — „ბრანი" 3:3, „ალესუნდი" — „რუსენბორგი" 0:2, „ბოდიო გლიმტი" — „სტაბეკი" 3:1.

**„რუსენბორგი" — 42, „ბოდიო" — 31, „სოგნდალი" — 29 ქულა.**

**თურქეთი.** სუპერლიგა. II ტური. „ისთანბული" — „ადანა" 1:0, „ანკარა" — „სამსუნი" 4:2, „ბეშიქთაში" — „ბურსა 1:0, „დენიზლი" — „რიზე" 1:1, „ტრაბზონი" — „ფენებაჰჩე" 0:1.

**„ისთანბული" და „ბეშიქთაში" — 6-6 ქულა, „დენიზლი" და „რიზე" — 4-4 ქულა.**

**რუსეთი.** პრემიერლიგა. 21-ე ტური. „რუბინი" — „როტორი" 1:0, „მეტალურგი" — ცსკა 2:1, „ალანია" — „კრილია" 1:1, „ზენიტი" — „შინიკი" 1:2, „ჩერნომორეცი" — „სატურნი" 0:1.

**ცსკა (22 მატჩიდან) — 44, „სატურნი" — 40, „რუბინი" 37 ქულა.**

**ჩეხეთი.** მე-4 ტური. „პლზენი" — „სლავია" 2:1, „ბანიკი" — „ბლშანი" 5:2, „ზლინი" — „ლიბერეცი" 0:0, „იაბლონეცი" — „სინოტი" 1:0, „ტეპლიცე" — „ოჰავა" 2:0, „პრჟიბრამი" — „სიგმა" 1:1.

**„ბანიკი" და „ტეპლიცე" — 10-10, „ბრნო" და „სლავია" — 9-9 ქულა („ბრნოს" ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული).**

დანარჩენ ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატების შეხვედრათა უმრავლესობა კვირას გვიან დამთავრდა. თუმცა შაბათსაც რამდენიმე მატჩი გაიმართა. აი, მათი შედეგები:

**ჰოლანდია.** „ტილბურგი" — „ალკმაარი" 1:0, „ტვენტე" — „როზენდალი" 3:1, „ვალვაიკი" — „დენ ჰააგი" 1:0, „როდა" — პსვ 2:2.

**პორტუგალია.** „აკადემიკა" — „სპორტინგი" 1:2.

**სლოვაკეთი.** „ინტერი" — „დუბნიცა" 0:0, „ტრენჩინი" — „ჟილინა" 2:0, „ტრნავა" — „ბისტრიცა" 4:0.

**პოლონეთი.** „ლეგია" — „ლეშნა" 0:0, „გურნიკი" — „პოლკოვიცე" 1:0, „ვისლა" — „სვიტი" 4:0, „ამიცა" — „ლეხი" 1:0.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ხსოვნა

# გოლიათი მოხევე

**ომის დაწყებიდან სამიოდე თვე იყო გასული. გერმანელები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ საბჭოეთის დედაქალაქს. ზოგჯერ, სროლის ხმა რომ მიწყნარდებოდა, მოსკოვის დამცველები კულტმასობრივი ღონისძიებებით ერთობოდნენ. იმ საღამოსაც კონცერტი ჰქონდათ. ჯერ იმღერეს, მერე – იცეკვეს. ბოლოს მოკრივეებიც გამოჩნდნენ სახელდახელოდ მოწყობილ რინგზე. სარატოვის ჩემპიონს მასლოვს სპარინგ-პარტნიორი არ ჰყავდა. ქართველმა ბიჭებმა ლევანს სთხოვეს, მეტოქეობა გაეწია მისთვის. იუარა.**



– თქვენ რა, კრივზე დადიოდით? – ჰკითხა მასლოვმა.

– ჰო, ერთ დროს – მოკლედ უპასუხა ლევანმა.

– თუ რამე იცით, გამოდით, ძლიერად არ დაგარტყამთ – უთხრა მედიდურად მასლოვმა.

ქართველი ჭაბუკი წამოენთო. მეგობრებმა ეს შენიშნეს, იგრძნეს, რომ ლევანი თანახმა იყო, მამლაყინწასთვის ჭკუა ესწავლებინა.

მეტოქეები რინგზე გავიდნენ. მსაჯმა ხმამაღლა გამოაცხადა: „ერთმანეთს ხვდებიან საქართველოს და ამიერკავკასიის მრავალგზის ჩემპიონი, 1940 წლის საბჭოთა კავშირის პირველობის გამარჯვებული ღუდუშაური და სარატოვის ჩემპიონი მასლოვი“.

რუს მოკრივეს მუხლები აუკანკალდა, მაგრამ „ბრძოლის ველიდან“ ხომ არ გაიქცეოდა. პაექრობა დაიწყო. მასლოვი შორიდან იქნევდა მუშტებს. საფრთხე რომ ვერ იგრძნო, იფიქრა, მომატყუესო, გათამამდა და ის იყო, შეტევაზე გადავიდა, რომ პირდაპირმა ძლიერმა დარტყმამ ფეხქვეშ მიწა გამოაცალა და რინგზე გაიშხლართა. უკანა რიგებიდან ქალმა წამოიკივლა: „ასე ძლიერად ნუ დაარტყამთ“. ქართველ ბიჭებს გაეცინათ. ორთაბრძოლაც ამით მორჩა...

ლევან ღუდუშაური 1912 წელს დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში. გაუსაძლისმა ცხოვრებამ მისი ოჯახი ლუკმა-პურის საშოვნელად ძაუგს (ვლადიკავკაზი) ჩაიყვანა. XX საუკუნის ოციანი წლების ბოლოს ლევანი და მისი ძმები თბილისში გადმოსახლდნენ. ბრგე ჭაბუკი აქ ბედმა დიდ კოტე მარჯანიშვილთან დააკავშირა. პირველი როლი შეასრულა სპექტაკლში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ნიჭიერ ყმაწვილს მალე ფართო გზა მისცეს სცენაზე... „ოტელო“, „ურიელ აკოსტა“, „ყვარყვარე თუთაბერი“ – აი, ის სპექტაკლები, რომლებშიც მან ითამაშა ცნობილი მსახიობების – უშანგი ჩხეიძის, გიორგი შავგულიძის, შალვა ღამბაშიძის, ვანო გოძიაშვილის და სხვათა გვერდით, რომ არა კოტე მარჯანიშვილის მოულოდნელი გარდაცვალება 1933 წელს, ვინ იცის ლევან ღუდუშაურის ბედი როგორ წარიმართებოდა.

ტექნიკუმელი მეგობრის წაქეზებით გოლიათმა მოხევემ ოცდაათიანი წლებიდან კრივზეც დაიწყო სიარული. მალე დაწინაურდა კიდეც. თეატრიდან წამოსვლის შემდეგ საბოლოო არჩევანი რინგზე შეაჩერა.

1938 წელს პირველად იასპარეზა მძიმეწონოსანთა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. სტარტზე ქვეყნის ორგზის აბსოლუტურ ჩემპიონს ნიკოლაი კოროლიოვს შეხვდა. პირველი რაუნდი ქართველმა მოკრივემ მოიგო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოცდილმა რუსმა გაიმარჯვა, რომელმაც მერე სხვა მეტოქეებსაც სძლია და ჩემპიონობაც მოიპოვა. მეორე ადგილზე თბილისელი ანდრო ნოვოსარდოვი გავიდა. ბრინჯაოს მედალი ლევან ღუდუშაურს ხვდა.

1940 წელს ივანოვოში „ბ“ ჯგუფის ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის ქართველი ათლეტი პირველი იყო.

ლევან ღუდუშაურმა ყველაზე დიდ წარმატებას 1945 წელს მიაღწია. აპრილში თბილისის ნაკრების შემადგენლობაში (მასთან ერთად გამოდიოდნენ ბორის კალაძე, გაბრიელ ხანუკაშვილი, გიორგი ვართანოვი, ედუარდ არისტაკესიანი, შალვა გორგასლიძე, ბორის მელაძე, შალვა დვალი, ანდრო ნოვოსარდოვი და გოდერძი ტაბატაძე, მთავარი მწვრთნელი – ალექსანდრ გოლდშტეინი) მოიპოვა საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონობა, 11 ივლისს კი ინდივიდუალური ჩემპიონატის ფინალში მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე 12 ათასი მაყურებლის თვალწინ სძლია ტალინელ ბერნჰარდტ სალონგრს და ქვემძიმე წონაში ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. აი, რას წერს ამ ორთაბრძოლის შესახებ საკავშირო კატეგორიის არბიტრი გურგენ გასპარიანი: „ფიზიკურად ძლიერი და გამოცდილი ღუდუშაური პაექრობას დაზვერვით იწყებს. შემდეგ, როცა მეტოქეები ახლო ბრძოლაზე გადადიან, თბილისელი უფრო მეტ დარტყმას აყენებს მოწინააღმდეგეს. ღუდუშაური უტევს და მიზანსაც აღწევს. სალონგი თავს იცავს, მაგრამ ქართველმა მოკრივემ მოიგო ყველა რაუნდი, ორთაბრძოლაც და ჩემპიონის წოდებაც“.

1948 წელს 36 წლის გოლიათმა მოხევემ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე გაიმარჯვა. ეს იყო მისი ბოლო ოფიციალური გამოსვლა რინგზე, სადაც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში 137 შეხვედრა გამართა და მხოლოდ ცხრაჯერ დამარცხდა.

აქტიურ სპორტს რომ თავი დაანება, წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა. ათი წელიწადი თბილისისა და საქართველოს კრივის ფედერაციებს ხელმძღვანელობდა, პერიოდულად მუშაობდა საქართველოს ნაკრებ გუნდთან მწვრთნელად. უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობისთვის მიანიჭეს სპორტის დამსახურებული ოსტატის, საკავშირო კატეგორიისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებები. დაარსების დღიდან 1964 წლამდე თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში მუშაობდა. სადაც აღიზარდნენ სახელოვანი სპორტსმენები – ომარ ფხაკაძე, გურამ გუდაშვილი, კარლო გორძემაშვილი, ვახტანგ რეხვიაშვილი და სხვები. წლების განმავლობაში იყო დედაქალაქის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი.

სადაც კი იმუშავა, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სხვაგარად წარმოუდგენელიც იყო, რადგან თავად გახლდათ პატიოსნების განსახიერება, თავისი ერისა და ქვეყნის მოყვარული.

P. S. **სპორტისთვის დამაშვრალი პიროვნების გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრებმა სახლში მოზრდილი ყუთი იპოვეს, რომელშიც მოკრივის ხელთათმანები ეწყო. ლევან ღუდუშაური მშობლიურ სოფელში კრივის სკოლის გახსნაზე ოცნებობდა და ხელთათმანებსაც თურმე მისთვის აგროვებდა. რამდენიმე წლის წინათ სნოში ლევანის ქალიშვილმა ლიანამ მამის საჩუქარი თანასოფლელებს გადასცა.**

**ვაჟა დანელია.**



1945 წლის 8 ჩემპიონი. იური უზბიაკოვის მეგობრული შარჟი.

ლევან სანაძე-75

## ქარსგაჯიბრებული

**საქართველოს არაერთ სპორტსმენს უსახელებია თავი საერთაშორისო სარბიელზე. კაშკაშა ვარსკვლავთა შორის გახლდათ სპორტის დამსახურებული ოსტატი, მძლეოსნობაში ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, 1950 წლის ევროპის ჩემპიონი და 1954 წლის ბრინჯაოს მედალოსანი, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ორგზის გამარჯვებული და მეორე პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ექვსგზის ვერცხლისა და შვიდგზის ბრინჯაოს მედალოსანი, ახალგაზრდობის მსოფლიო თამაშების მეორე და მესამე პრიზიორი ლევან სანაძე. ქარსგაჯიბრებულ სპრინტერს არაერთხელ დაუმყარებია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რეკორდები.**

– ლევან სანაძე უნიკალური პიროვნება და სპორტსმენი იყო, – მითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა რევაზ ტრაპაიძემ. – დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა. ხშირად გამოვსულვართ ერთად სხვადასხვა შეჯიბრებაზე. 1951 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ლევანმა მე-3 ადგილი დაიკავა 200 მეტრზე რბენაში, მე მეოთხე ვიყავი. ორივენი მოვხვდით ოლიმპიურ ნაკრებში. ფინეთის დედაქალაქში ტრავმის გამო არ მიასპარეზია. ცხადია, მეგობარს ვქომაგობდი. 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ქართველმა სპრინტერმა მესამე ეტაპი ამერიკელ მორბენალს მოუგო, მაგრამ მისმა IV თანაგუნდელმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა.

ლევან სანაძე იყო არა მარტო დიდი სპორტსმენი, არამედ შესანიშნავი პიროვნებაც, უაღრესად განათლებული, წესიერი, თავმდაბალი. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას, იყო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს მასალათა გამძლეობაში.

მესამე წელიწადია, ბატონი ლევან სანაძე ჩვენს შორის აღარ არის. 16 აგვისტოს მას 75 წელი შეუსრულდებოდა.

ისტორია



# მოგონებანი გარდასულ დღეთა

კურორტ გაგრას ყოველწლიურად უამრავი დამსვენებელი ეტანებოდა. მოლივლივე ტალღებზე სანებივროდ და სავარჯიშოდაც საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს სპორტსმენებიც ხშირად სტუმრობდნენ. ამ ფოტოზე – 1951 წლის ივლისის ერთ მზიან დღეს – საქართველოს მოჭადრაკეები არიან აღბეჭდილი. ისინი საკავშირო გუნდური ჩემპიონატის ნახევარფინალში საასპარეზოდ სწორედ გაგრაში ემზადებოდნენ. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი დღეს ჩვენს შორის აღარ არის.

**სურათზე: სხედან (მარცხნიდან) – ლილი წეროძე, ლილი გელოვანი, ალექსანდრ კონსტანტინოპოლს კი (გუნდის მწვრთნელი, მოსკოველი ოსტატი), ვარვარა ზარგარიანი, მიხეილ შიშოვი, დგანან – თენგიზ გიორგაძე, ვახტანგ ქარსელაძე, იოსებ კრიხელი, ლარისა მებაღიშვილი, ჰენრიხ არნშტეინი, ნიკოლოზ სოროკინი, ქსენია გოგიავა, ანდრო გამრეკელი, ოთარ ელიოზიშვილი, ალექსანდრე ბლაგიძე, ლეილა ნაჭყებია, ალექსანდრე ბუსლაევი.**

**ფოტო – თენგიზ გიორგაძის არქივიდან.**

ვაჰ, დრონი, დრონი...

# მიხეილ მესხი – მატჩის არბიტრი!



**1971 წელს თბილისის რკინიგზის მე-3 საშუალო (შემდგომ მე-100) სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლის, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის, ძალოსნობაში რესპუბლიკის მრავალგზის რეკორდსმენის გოგი ცერცვაძის თაოსნობით გაიმართა შიდასასკოლო შეჯიბრება ფეხბურთში.** ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-$7^2$ და მე-$8^2$ კლასელები. მატჩი მოეწყო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტადიონზე, იგი ტელევიზიითაც გადაიცა.

მე – ამ შეხვედრის მონაწილეს – არასოდეს დამავიწყდება 12 ოქტომბერი, ეს ღირსშესანიშნავი დღე ჩვენი სკოლის ისტორიაში, რადგან ფინალური მატჩი იმსაჯა ლეგენდარულმა მიხეილ მესხმა. მასთან ერთად ჩვენთან მოვიდნენ ბორის სიჭინავა, ავთანდილ ხელაძე, თემურ ცერცვაძე (გოგი ცერცვაძის ვაჟი) და ვეტერანი ფეხბურთელი ვანო შუდრა.

თამაში მე-$7^2$ კლასის ფეხბურთელებმა მოვიგეთ 2:1, თუმცა შესვენებამდე 0:1-ს ვაგებდით. მეორე ტაიმის მიწურულს ორივე გოლი ჩვენი გუნდის კაპიტანმა ნოდარ გიგაურმა გაიტანა.

გამარჯვება მოგვილოცა და დინამოელთა ავტოგრაფებით სამახსოვრო ბურთი გადმოგვცა მიხეილ მესხმა.

საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით კი სკოლის დირექტორმა მიხეილ შაიშმელაშვილმა დაგვაჯილდოვა.

ჩვენი კლასელებიდან დღეს ცოცხლები აღარ არიან: თემურ ბალანჩივაძე, თემურ ტურაშვილი და ომარ კოპალეიშვილი, ასევე, მიხეილ შაიშმელაშვილი და გოგი ცერცვაძე, ვანო შუდრა და მსოფლიო ფეხბურთის ჩაუქრობელი ვარსკვლავი მიხეილ მესხი.

ნათელი მათ ხსოვნას.

**ვაჟა ჭიაურელი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ავტორალი

# თურქებს ტოლი არ ჰყავდათ

გუშინ თბილისში დამთავრდა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ეგიდით გამართული ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი – „შევრონი რალი საქართველო-2003“ მოასპარეზენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სარბოლო ტრასის შემდეგ მონაკვეთებზე: ბაგები-ბეთანია, ბეთანია-კოჯორი, უძო-შინდისი, სამადლო-ბაგები. მეტოქეებმა ამჯერადაც ვერაფერი დააკლეს თურქთა დუეტებს, რომლებმაც, წინა დღეების მსგავსად, I-II ადგილები გაინაწილეს. მესამე ადგილზე კვლავ ალექსეი მატვეევის ეკიპაჟი იყო.

გუშინვე შეჯამდა ევროპის ჩემპიონატის IV ეტაპის საერთო შედეგები და I-VI საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვოლკან ისიკი და ერკან ჯულერანი (თურქეთი, Fiat Punto Super 1600), 2. ნიჯათ ავსი და ოზდენ ილმაზი (თურქეთი, Fiat Punto Super 1600), 3. ალექსეი მატვეევი და იური მიხაილოვი (რუსეთი, Mitsubishi Evo-7), 4. დიმიტრი ზორინი და არსენ პოღოსიანი (რუსეთი, Subary impreza), 5. გიორგი არჯევანიძე და გიორგი ღამბარაშვილი (საქართველო, Lada-Samara), 6. შალვა ოგბაიძე და ლევან იაშვილი (Citroen-Saxo).



შეჯიბრების შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა ვიქტორ თოდაძემ დადებითად შეაფასა ასპარეზობის ორგანიზაცია. იგი დარწმუნებულია, რომ რალის დამკვირვებელი, დირექტორი და მთავარი მსაჯიც ანალოგიურ შეფასებას მისცემენ ევროპის ჩემპიონატის თბილისურ ეტაპს და ამ საინტერესო ღონისძიებას გაისადაც უმასპინძლებენ.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს რუსმა ავტომრბოლებმა. კერძოდ, იური მიხაილოვმა კმაყოფილება გამოთქვა გულთბილი მასპინძლობისა და შეჯიბრების ჩინებული ორგანიზაციის გამო. თბილისის ქუჩების შემხედვარე, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, სარბოლო ტრასები ასე კარგად თუ იქნებოდა მომზადებული, – დასძინა მან. კმაყოფილი იყო ალექსეი მატვეევიც, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი მესამე ადგილით აღნიშნა.

ავტორალის მომდევნო V ეტაპს აგვისტოს მიწურულს ბულგარეთის ქალაქი სლივენიცა უმასპინძლებს.

**მამუკა ქობალავა.**

## თაობა

# ტრადიციას აგრძელებს

**ამ ფოტოზე 6 წლის აკა ბაქშია აღბეჭდილი. მცირეწლოვანების მიუხედავად, იგი საკმაოდ ხელმარჯვედ სცემს ჩოგანს და სათანადო მეტოქეობას უწევს უფროსებსაც. ჩოგბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები მის თამაშს რომ უყურებენ, მამა-პაპის ალი-კვალიაო, ამბობენ. პატარა ალექსანდრე (მოფერებით აკას ეძახიან) დიდი ოჯახური საჩოგბურთო ტრადიციების გამგრძელებელია.**



პაპა (დედის მხრიდან) – ბორის სენჩუროვი თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ჩოგბურთელი იყო. ალექსანდრე მეტრეველთან და სხვა წამყვან სპორტსმენებთან ერთად ვარჯიშობდა „დინამოს“ კორტებზე, თამაშობდა საქართველოს ნაკრებში. აქტიურ სპორტს თავი რომ დაანება, მწვრთნელობას მიჰყო ხელი და მრავალი სასახელო ათლეტი მოუმზადა ქართულ ჩოგბურთს.

მისი ქალიშვილი ალიონაც, აკას დედა, ჩოგბურთელი გახლდათ. მერე მამას ეხმარებოდა მოზარდი თაობის დაფრთიანებაში. კორტებზე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ასევე, ცნობილი ჩოგბურთელი, ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრი ვიქტორ ბაქში, რომელიც ამჟამად მწვრთნელად მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც.

აი, ასეთი ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელია პატარა აკა, რომელიც, გვჯერა, დიდი ჩოგბურთელი დადგება და მამა-პაპას ასახელებს.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: კორტზეა აკა ბაქში.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

## აქეთური — იქითური

### პრიზების 18 პრეტენდენტი

**უეფამ გამოაქვეყნა იმ 18 ფეხბურთელის სია, რომლებიც ამ ორგანიზაციის მიერ დაწესებული სხვადასხვა პრიზის პრეტენდენტებად ითვლებიან. მათ შორის ყველაზე მეტი – 6 მოთამაშე მადრიდის „რეალიდანაა“: მეკარე კასილიასი, მცველი რობერტო კარლოსი, ნახევარმცველები – მაკელელე და ზიდანი, თავდამსხმელები – რაული და რონალდო.**

პრეტენდენტთა შორის არის შევჩენკო („მილანი“), მას, შეიძლება, ევროპის საუკეთესო თავდამსხმელის წოდება მიენიჭოს.

ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი 28 აგვისტოს მონაკოში გაიმართება, სადაც ევროპის სუპერთასზე ერთმანეთს ხვდებიან იტალიური „მილანი“ და პორტუგალიური „პორტუ“.

### ღვინო „მარადონა“

**არგენტინაში გამოუშვეს ღვინის ახალი მარკა „დიეგო მარადონა“. უკვე ჩამოასხეს 30 500 ბოთლი.**

მეწარმე პატრისიო კოლმანმა იყიდა ამ სახელწოდების ტარების უფლება. „დიეგო მარადონა“ სამი ცნობილი მარკის შერევით გამოყვანილი სორტის ღვინოა. ესენია – მალბეკი, ვაბერნე და სავინიონი.

### ხუმარა დაუყოვნებლივ გააძევეს

**ერთი უხეირო ხუმრობისთვის სამაგალითოდ დაისაჯა შოტლანდიელი ფეხბურთელი პოლ ბრაუნი, რომელიც კლუბ „არბროუტში“ (მეორე დივიზიონი) გამოდიოდა.**

იგი მხიარულ ხასიათზე იყო, დაურეკა თავის პარტნიორ ედი ფორესტს და თავი უმაღლესი დივიზიონის კლუბ „რაიტ როვერსის“ მწვრთნელად წარუდგინა. ხმა ისე კარგად შეიცვალა, რომ ფორესტი ვერაფერს მიხვდა. „მწვრთნელმა“ ფეხბურთელს „რაიტ როვერსში“ გადასვლა შესთავაზა. ფორესტს ძალიან გაუხარდა და „არბროუტთან“ ურთიერთობა შეწყვიტა.

მალე ყველაფერი გამომჟღავნდა. ფორესტი დარწმუნდა, რომ ამ უხეირო ხუმრობის შედეგად ცარიელ-ტარიელი დარჩა. „არბროუტის“ ხელმძღვანელმა კი დაუყოვნებლივ გააძევა პოლ ბრაუნი გუნდიდან და ყველა ოხუნჯს, თუკი ისინი სადმე იყვნენ, მსგავსი ხუმრობის სურვილი დაუკარგა.

### ერთი მილიარდი მაყურებელი!

**ჩინური პრესის ცნობით, ამასწინანდელ მატჩს მადრიდის „რეალსა“ და ჩინურ გუნდს შორის, რომელიც პეკინის „მუშათა სტადიონზე“ გაიმართა, ტელევიზიით თვალყურს ადევნებდა ერთი მილიონი ადამიანი (სულ ჩინეთის მოსახლეობა დღეისათვის 1 მილიარდ 280 მილიონი ადამიანია).**



ეს ახალი ჩინური რეკორდია. ამდენი მაყურებელი არა ჰყოლია არც სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებს და არც ფეხბურთელთა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს.

### შეშლილობის თავისებური ფორმა?

**ცნობილი კოლუმბიელი ფორვარდი ფაუსტინო ასპრილია ყოველთვის ექსცენტრულით საქციელით გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა რაღაც ახალი უცნაურობა დასჩემდა.**

ჯერ იყო და ტრიბუნაზე ყოფნისას (იმ დღეს ასპრილია ტრავმის გამო არ თამაშობდა) დამბაჩა იძრო და ჰაერში სროლა ატეხა. სანამ დაბნეული პოლიციელები გამოერკვეოდნენ, ფეხბურთელმა სტადიონი დატოვა.

და აი, სულ ახალი ამბავი. სისხამ დილით ასპრილია თავისი ნავით მიუახლოვდა კუნძულ როსარიოს (არგენტინა) და თოფიდან რამდენჯერმე გაისროლა. კიდევ კარგი, რომ ტყვია არავის მოხვედრია. მცხოვრებლებმა პოლიცია გამოიძახეს, ასპრილია კი ნავით სწრაფად მოშორდა კუნძულს.

### ყბექშემოდაც კარგად ვითამაშებთ!

**ასე ფიქრობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, სულაც არ აპირებს ფეხბურთის მიტოვებას.**

ახლა შოტლანდიელი სპეციალისტის მთავარი ფავორიტი 27 წლის ჰოლანდიელი, დიდად შედეგიანი თავდამსხმელი რუდ ვან ნისტელროი გახდა. ფერგიუსონმა მას შესთავაზა, 2006 წლამდე დადებული ხელშეკრულება 2009 წლამდე გაუგრძელოს. მისი ხელფასი კვირაში 155 660 ევრომდე გაიზარდა. ამრიგად, ვან ნისტელროი კლუბის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე დიდ ხელფასს მიიღებს და, ცხადია, გადასვლაზეც აღარ იფიქრებს.





### რა დრო დადგა – ელბერს სხვებს სთავაზობენ!

**წლების განმავლობაში ბრაზილიელ თავდამსხმელ ჯოვანე ელბერს მიუნხენის „ბაიერნი“, შეიძლება ითქვას, პირდაპირ დაჰკანკალებდა. ეს გასაგებიც იყო – ელბერს ბუნდესლიგაში გოლი გოლზე გაჰქონდა (სურათზე მარცხნივ).**

ახლა კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. „ლიონმა“ გერმანელებს სთხოვა, მისთვის მიეყიდა პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პიზარო და გვარიან თანხასაც სთავაზობდა, მაგრამ უარი მიიღო.

– პიზარო არა და, აი, ელბერი კი, თუ გსურთ, იყიდეთ, – ასეთი იყო „ბაიერნის“ პასუხი.

### ბორა მილუტინოვიჩი – ჰონდურასში

**ცნობილი სერბი სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი, რომელმაც არაერთ „მეორეხარისხოვან“ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოაპოვებინა, ყოველთვის უარს აცხადებს მშობლიურ ქვეყანაში მუშაობაზე, რადგან იქ, მისი აზრით, ფეხბურთი სრულიად ქაოსურ მდგომარეობაშია.**

მილუტინოვიჩი უკანასკნელად ჩინეთის ნაკრებში მუშაობდა, ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებს კი, საღად რომ აფასებდნენ ვითარებას, მისთვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება არ დაუვალებიათ.

ახლა ბორა მილუტინოვიჩი ჰონდურასის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მიზანი ნათელია – 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის საგზურის მოპოვება.

### ბუნდესლიგის სარეკლამო მეფე

**ფირმა „სონისთან“ გაფორმებული კონტრაქტით მიხაელ ბალაკი ბუნდესლიგის სარეკლამო მეფე გახდა.**

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველმა ამ ცნობილ კონცერნთან სამწლიანი ხელშეკრულების ძალით



ყოველწლიურად 600 ათასი ევრო უნდა მიიღოს. გარდა ამისა, ბალაკს აქვს კონტრაქტი ფირმებთან – „კოკა-კოლასთან“ (წელიწადში 500 ათას ევროს იღებს) და „ადიდასთან“ (წელიწადში – 400 ათასი ევრო). ერთი სიტყვით, სამი კონტრაქტის მიხედვით, წელიწადში – 1,5 მილიონი. ამასთანავე, კლუბში ბალაკის შემოსავალი წელიწადში 4 მილიონი ევროა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 219, ორშაბათი, 18 აგვისტო, 2003 წელი.

## დრო და ადამიანები

# ქართული ჭიდაობის ფიგარო

**ჩემპიონის ოქროს მედალს ორი მხარე აქვს: პირველი — სპორტსმენის მიერ სარბიელზე გამოჩენილი გამბედაობა და ბრძოლისუნარიანობა, რომლის შედეგად მან კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო, ხოლო მეორე — ამ ტრიუმფში ჩაქსოვილი მწვრთნელისა და სპეციალისტის უდიდესი შრომა, რომელიც დაუნახავი არ უნდა დარჩეს.**

**ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ომზარ შოშიტაიშვილი სწოროედ ის სპეციალისტი გახლავთ, რომელიც 45 წლის განმავლობაში უშურველად, პროფესიულად, გულიანად აკეთებს თავის საქმეს. სხვებისაგან განსხვავებით, მას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულები არ დაუსაკუთრებია, მაგრამ მისი ხანგრძლივი, დაუღალავი სამსახური მთავრობამ შესაფერისად აღნიშნა — ღირსების ორდენითაა დაჯილდოებული. 62 წლის გენერალურმა მდივანმა მეგობრებისა და სპორტის სპეციალისტთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დღევანდელი ნომრის სტუმარი სწორედ ომზარ შოშიტაიშვილი გახლავთ.**



**— როგორ მოხდა თქვენი ჭიდაობასთან დამეგობრება?** — ვკითხე ბატონ ომზარს.

— ორმოცდაათიანი წლებიდან სოფელ ლისში ბავშვთა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო ქართული ჭიდაობა. ზაფხულობით ყოველ დასვენების დღეს ღია სარბიელზე საინტერესო პაექრობები იმართებოდა, მეც დიდი ხალისით გამოვდიოდი. ჭაბუკები სხვების დაუხმარებლად ვეუფლებოდით ჩვენი ეროვნული საგანძურის ილეთებს — კისრულს, გარე სარმას, მოგვერდს, ცერულსა... სწორედ, ქართულმა ჭიდაობამ შემაყვარა ის საქმე, რომელსაც დღეს ვემსახურები. 1958 წელს მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში სწავლისას თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა თბილისის პირველობაში, რომელიც მაშინდელ ტრავმაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სპორტულ დარბაზში გაიმართა, მეორე ადგილი დავიკავე. ახალგაზრდა მწვრთნელმა უშანგ ბარნაბიშვილმა თავის სექციაში ჩამრიცხა. ცოტა ხნის შემდეგ, მაშინდელ ლენინგრადში „შრომითი რეზერვების" საკავშირო საბჭოს პირველობაზე გამომიყვანა. ვერცხლის მედალი მერგო 67 კილოში. მერეც ორჯერ მოვიპოვე მეორე ადგილები საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ პირველობებზე, არაერთხელ მოვიგე „ლოკომოტივისა" და „შრომითი რეზერვების" საკავშირო საბჭოს შეჯიბრებები, ექვსჯერ ვიყავი შეიარაღებული ძალების პირველობების ჩემპიონი და პრიზიორი. საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი ვარ თავისუფალ ჭიდაობაში, ვიასპარეზე მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

**— დიდი სარბიელის ზღურბლთან იდექით, მერე როგორ წარიმართა თქვენი სპორტული კარიერა?**

— მაშინ 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა ცნობილი ფალავანი ზარიბეგ ბერიაშვილი — საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თავისუფალი ჭიდაობის ისტორიაში.

1963 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე. სამი წელიწადი აგრონომად ვიმუშავე სოფელ ბერბუკში, სადაც საკუთარი ძალებით კეთილმოვაწყვე ნახერხმოყრილი მოედანი, პატარებს ქართულ ჭიდაობას ვასწავლიდი. ერთხელაც ამ სარბიელზე გორის ღია პირველობა გავმართე. მრავალრიცხოვან მაყურებლებს წარვუდგინე ლეგენდარული ფალავნები — ლევან თედიაშვილი, შოთა ლომიძე, გურამ საღარაძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, გივი ყვარელაშვილი და სხვები. ზოგმა იმსაჯა, ზოგმაც გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვა. ერთი სიტყვით, ასპარეზობის ორგანიზატორი, მთავარი მსაჯი და დიქტორიც მე ვიყავი...

**— როგორც ჩანს, სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი თქვენს ორგანიზატორულ საქმიანობას, რომლის მეშვეობითაც დღეს მყარად დგას ფეხზე საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია.**

— შეიძლება, მართლაც ასე იყო, მალე თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად და „განთიადის" სპორტულ დარბაზში უფროს მწვრთნელად დავიწყე მუშაობა. 1977-79 წლებში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობაზე დამაწინაურეს. ჩემს აღზრდილთა შორის გამოვყოფდი დღევანდელი პარლამენტის წევრს ვალერი გელაშვილს, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ასპარეზობებში; სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორს ნიკო როსტომაშვილს, გია ბერძენიძესა და სხვებს. 4 წლის განმავლობაში საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის სახელმწიფო მწვრთნელი ვიყავი, მერე ამირჩიეს ჭიდაობის სამმართველოს უფროსად და მასში შემავალი ხუთი სახეობა — თავისუფალი, „კლასიკური", სამბო, ძიუდო და ქართული ჭიდაობა ჩამაბარეს. 1989 წელს ჭიდაობის გაერთიანების გენერალურ დირექტორად დამნიშნეს. ექვსი წლის განმავლობაში ვიყავი საბჭოთა კავშირის მწვრთნელი საქართველოში. 1989 წელს **ფილამ** საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება მომანიჭა, ვარ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი...

**— თუ არ ვცდები, თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, ჩვენს ეროვნულ საგანძურს დიდ სარბიელზე გასვლა ელოდა...**

— ასეთი ღონისძიება 1989 წლის მიწურულს განვახორციელეთ, როცა სპორტის სასახლეში საპაექროდ იაპონელი, უნგრელი, ჩეხოსლოვაკიელი, ბულგარელი და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ვაჭიდავეთ, მაგრამ 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა მოვლენებმა შეგვიშალა ხელი.

**— ვიცი, რომ გენერალური მდივნობა საკმაოდ შრომატევადია. როგორ ახერხებთ ოჯახური საქმიანობისა და სამსახურებრივი მოვალეობის ასეთ მაღალ „სპორტულ" დონეზე შესრულებას?**

— მართლაც ბევრი სამუშაო მაქვს, თუმცა ოჯახისთვის, ჩემი შვილიშვილებისთვის — ნიკასა და დავითისთვისაც ვპოულობ დროს. პატარებისთვის უცხოეთიდან ხშირად ჩამომაქვს საჩუქრები. 45 წლის განმავლობაში მსოფლიოს 85 ქვეყანაში ვარ ნამყოფი.

**— ბევრმა თქვენმა ნაცნობმაც კი არ იცის, რომ რადიკულიტისა და ზოგიერთი დაავადების ჩინებული მკურნალი ბრძანდებით. ხომ ვერ დაგვისახელებთ პაციენტთა განკურნების კონკრეტულ მაგალითებს?**

— მწვავე რადიკულიტი აწუხებდათ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს თემურ ყაზარაშვილსა და ევროპის ორგზის ჩემპიონს დათო პოღოსიანს. მკურნალობის ჩემმა მეთოდმა ისინი სავსებით გამოაჯანმრთელა.

**— ფალავანთა კლუბში სარემონტო სამუშაოები გაგიახლებიათ. როგორ მიდის საქმე?**

— საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა ძახოსოვის ძალისხმევით სარემონტო სამუშაოები განვაახლეთ. უკვე წესრიგში მოიყვანეს მოჭიდავეთა გასახდელები, საშხაპეები, სათავსოები. პრეზიდენტმა საკუთარი სახსრებით შეიძინა 30 ახალთახალი ხალიჩა, რომლებიც თურქეთშია დამზადებული. მალე ისინი საქართველოს საჭიდაო ცენტრებს დაურიგდებათ, რაც შესამჩნევად აამაღლებს წვრთნის ხარისხს.

**— გაისად ათენში ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ქართველი მოჭიდავეები შეძლებენ წლობით ნანატრი ოქროს მედლის მოპოვებას?**

— ოლიმპიადამდე ჯერ კიდევ მთელი წელიწადია დარჩენილი. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, არ არის გამორიცხული, ათენის უმაღლეს კვარცხლბეკზე ჩვენმა მოჭიდავეებმაც შედგან ფეხი.

ესაუბრა
**შალვა ძირია.**

**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

## მხატვრული ტანვარჯიში

# ფერიების მეჯლისი ბაქოში

**წლეულს სექტემბერში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება. სეზონის ამ მთავარი ასპარეზობისთვის მონდომებით ემზადებიან საქართველოს სპორტსმენებიც. ამას წინათ ვანდა კერესელიძემ, ქეთევან ბაკურაძემ და თათია დონაძემ ბაქოში იასპარეზეს მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე.**

შეჯიბრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული. არც არის გასაკვირი, რადგან ამ ტურნირს ქვეყნის პრეზიდენტის რძალი მეჰრიბან ალიევა პატრონობდა. აზერბაიჯანის დედაქალაქში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფერიებმა მოიყარეს თავი. კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის — ირინა ვინერის შეგირდი ალინა კაბაევა, რომელმაც მრავალჭიდში 108,125 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. ჩემპიონს 3,05 ქულით ჩამორჩა მისივე თანაგუნდელი ირინა ჩაშინა. მესამე ადგილზე აზერბაიჯანელი დინარა გიმატოვა გავიდა.

საგულისხმოა, რომ უძლიერესთა დუელში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ნაკრების წევრმა ქეთევან ბაკურაძემ, რომელმაც 91,2 ქულით მრავალჭიდში მე-11 ადგილი დაიკავა. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ქართველ სპორტსმენს ძალუძს, მსოფლიო ჩემპიონატზე ელადის ლიცენზიისთვის იბრძოლოს. შეჯიბრებაზე 22-ე იყო თათია დონაძე. სპეციალისტთა აზრით, მას ბაბთით ვარჯიშში შეცდომები რომ არ დაეშვა, 15 საუკეთესოში მოხვდებოდა.

ბაქოში უკონკურსოდ იასპარეზა ვანდა კერესელიძემ. ამ გამოცდილმა სპორტსმენმა ბოლო დროს საგრძნობლად დათმო პოზიციები. მან მსოფლიო თასის გათამაშების ვერც ამ ეტაპზე შეძლო თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა. არადა, სალიცენზიო ტურნირამდე ცოტა დრო დარჩა და ბათუმელ ტანმოვარჯიშეს გაუჭირდება, ქომაგები გაახაროს. თუმცა, მის გამოცდილებას და ტალანტს თუ გავითვალისწინებთ, ჯერ ყველაფერი როდია დაკარგული.

**გიორგი გაგუა.**

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად


1

სხეულის სილამაზისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება წელის სიწვრილეს. განსაკუთრებით ქალებისთვის წელის დამუშავება ხანგრძლივ და თანამიმდევრულ შრომას მოითხოვს. საკმაოდ ეფექტიანია მუცლისა და წელის კუნთების ერთდროული დამუშავება.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის **ნაზი გოგიშვილის** შესრულებით. მისი ვარჯიშები სამაგალითოა თავისი მრავალფეროვნებით.

## პირადი მაგალითით – III ნაწილი

**1. მუცლის კუნთების ვარჯიში დვირზე შვედური კედლის გამოყენებით (სურ. 1).**

**2. იგივე ვარჯიში ჰორიზონტულ სკამზე მოხრილი ფეხებით (სურ. 2).**

**3. ანალოგიური ვარჯიში, ოღონდ ტანი ფიქსირებულია, მოძრაობს ფეხები (სურ. 3).**

**4. მუცლის კუნთების ვარჯიში ტრენაჟორის ბლოკის გამოყენებით (სურ. 4).**

პირველ შემთხვევაში იტვირთება მთლიანად მუცლის კუნთები. II და III შემთხვევაში, უპირველესად, ქვედა, ხოლო IV შემთხვევაში ზედა კუნთები იტვირთება.

**5. წელის კუნთების ვარჯიში დვირზე, შვედური კედლის გამოყენებით (სურ. 5).**

თითოეულ ამ ვარჯიშს ეთმობა 4-6 მისვლა 10-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**თორღვა მაზრაქველიძის ფოტო.**


2


3


4


5

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 219, ორშაბათი, 18 აგვისტო, 2003 წელი.

## ექსკლუზივი

(მეთერთმეტე გვერდიდან)

[illegible]

13

[illegible]

14

[illegible]

15

[illegible]

1996 – 2003

16

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პოეზია

### მიხეილ ჩაჩუა

# რაც მინდა და როგორც მინდა

„მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა“
გალაკტიონი.

რაც მინდა და როგორც მინდა,
ისე ვიტყვი, როცა მინდა.
წამოსული გოლგოთიდან
სულს მოვითქვამ მოცარტითა.

ავმაღლდები სებასტიან
ბახითა და ბეთჰოვენით,
მაქვს ისეთი განცდა ახლა,
რომ სიცოცხლეს ვეთხოვები.

თუ მოვკვდები, ფეხებზედაც
არ მკიდია, რომ იცოდე,
და ნელთბილი სიცოცხლისკენ
სულ ტყილად მომიწოდებ.

მე სიკვდილის არ მაქვს შიში,
ვარ სიკვდილთან ალიანსში,
ვმღერი ჩემს მკვლელ
„თავო ჩემოს“
და ვაღმერთებ ფალიაშვილს.

საქმე ოდნავ კარგად თუა,
ვამბობ პირველსაც და ბანსაც...
რა თქმა უნდა, გარგანტუას
მირჩევნია სანჩო პანსა.

პატივს არ ვცემ დითირამბებს,
ლექსი თუა, იყოს ლექსი!
მაგარია თუმცა რაბლე,
მაინც სხვაა სერვანტესი.

თუმც თავი არ მებრალება,
ჩანს, შემერია რაღაც სნება,
თორემ მე რა მერაბლება,
ან რა მესერვანტესება?

შორს რა მინდა —
აგერ ვაჟა!
ვენაცვალე ბარათაშვილს!
მსურს ხმამაღლა ვუთხრა —
ვაშა!
საქართველოს მთებს და
ტაშირს.

რამდენი გვყავს კარგზე
კარგი,
მგონი, არც კი დაგვითვლია.
გვყავს ილია, გვყავს აკაკი,
დავითს ვუქებთ „დავითიანს“.

გვყავს რაფიელ ერისთავი,
მაგრამ ვიცით მისი ფასი?
ქვეყანაზე არვის უთქვამს,
მან რომ გვითხრა,
იმის მსგავსი:

„სამშობლო, დედის მუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, მმობილო,
მირჩევნის ორთავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა“.

არას ვამბობ რუსთაველზე —
ლამის გასწვდეს გალაქტიკას...
პოეტი არ მეგულება,
სჯობდეს ჭკვიშელ გალაკტიონს.

ღმერთი მიწყენს, ვიცი,
ნაღდად,
არ ვახსენო ტიციანი —
უსაფლავო, მთაწმინდაზე
დამკვიდრების ღირსი არი.
სან პიანოს ითხოვს სული,
სან ფორტეს და ფორტისიმოს.
გულზე ვარდი მეფინება,
რომ ვახსენებ გოგლას, სიმონს.

ჩვენს ტერენტი გრანელს,
ვისიც
ჯერ არ იცის ბევრმა ყადრი,
დიდუბიდან მთაწმინდაზე
ატატებულს ავიყვანდი.

ვთქვი და უცებ სიხარულით
წამოვენთე ახანთივით —
ასეთ პატივს მივაგებდი
ჭაბუკ ლადო ასათიანს.

მე პაოლოც მლიერ მიყვარს
და კოლაუც, იცის ღმერთმა.
ბარე ასი ჭიქა ღვინო
მისვამს კოლაუსთან ერთად.

პოეტ კაპიტონ ნემსამის
იშლებოდა სახლში სუფრა.
იყო თბილი შეხვედრები
და დროც იყო უფრო სუფთა.

არ ვივიწყებ დაუვიწყარს —
არც კაპიტონს, არც კოლაუს...
ბევრ პოეტთან მე ისეთი
მეგობრობა მქონდა — აუ! —

დარწმუნებული ვარ მსგავსი
არ ჰქონია ბარე ორსა,
მზე შემოდის მტკივან გულში,
იმათ გავიხსენებ როცა.
....
როცა მინდა, იმას ვიტყვი,
რაც მინდა და როგორც
მინდა,
მაგრამ როცა მამულს უჭირს,
ვერ ვიცხოვრებ სორსოცითა.

ჩვენს მომავალს,
როგორც ვატყობ,
კარგი პირი უჩანს დღესა,
ღმერთო, იმ დღეს მომასწარი,
მამულს არა უშავდესრა,
მაშინ — კაცი არ
ვყოფილვარ, —
ამ ქვეყნიდან, ამ კარიდან,
ე, იმ ქვეყნის იმ კუტკარში
თუ არ შევალ სარსარითა.

## ამაღლება

ნიუ-იორკის ტრაგედია ჩემთვის
საქართველოს ტრაგედიად
იქცა
და ამტკივდა — მოწამე
ღმერთი —
მთელი დედამიწა.
იმწამს — მარტო
საქართველო კი არა, —
ვით მზის სხივი და სიწმინდე
ცრემლის —
ეს ვიგრძენი: დედამიწა
მთლიანად
სამშობლოა ჩემი.

ამამაღლა საოცარმა გრძნობამ,
ჩემს თავს ზემოთ დავდექი
და ვჭექე:
გაუმარჯოს სიყვარულს
და მმობას
და მშვიდობას დედამიწის
ჭერქვეშ.

## დიდგორის ომი მესიზმრა წუხელ

სანდახან ასე მგონია,
ვგავარ მარჯვენამოკვეთილს.
მთელ მსოფლიოში მეგულვის
ნათესავი და მოკეთე.

ყველა რომ ვნახო თითოჯერ,
ერთი სიცოცხლე არ მეყოფნის.
თუმცა აქ მცხოვრებ ბევრ
ქართველს,
ჯერ არ უნახავს მარტყოფიც.

ახლა რომ ვიტყვი, მინდა ის
ისმოდეს ჭექა-ქუხილად.
ვიცი ისეთი ქართველიც
დიდგორიც რომ არ უხილავს!

სხვა რომ არ იყოს, ესეც კი
კმაროდა ჩემდა წუხილად...
ნეტავ ამისდეს დიდგორის
ომი მესიზმრა წუხელ მე.

## სვეტიცხოველთან

ვალერიან
მამუკელაშვილს

„ჯერ სომ მცხეთის
სვეტიცხოვლის დიდ
ტამარში
საქართველოს ცხელი გული
ასვენია“
ლადო ასათიანი

ზემოთ — ჯვარი, სოლო
ქვემოთ
ისე ერთვის მტკვარს არაგვი,
მართლა ისე საგანგებოდ —
ზედმეტია ლაპარაკი.
უნდა იდგე და ყველაფერს
ჩუმად უსინჯავდე გემოს.
ყველაფერი ისეთია,
ვერსად ნახო უკეთესი.
ახლა, ამწუთს საქართველოს
ცხელი გულის ცემა მესმის.

## გამოცხადება

სომ ვამბობდი, მოვა-მეთქი,
ერთხელ კიდევ მოვა-მეთქი...
სომ მოვიდა! ჩემთან არის
ახლა, ამწუთს მამაღმერთი.

არა გჯერა? სადარდელი
არ მქონოდეს ამის მეტი.
მე სომ მჯერა, მე სომ
ვგრძნობ და
მე სომ მესმის ჩემი ღმერთის!

მე სომ ვხედავ, კარგად
ვხედავ,
რა ნათელშიც ვარ მე ახლა,
რა აღმატებული განცდა,
რა სიწმინდე მომეახლა.

ახლანდელი ერთი წამი
ერთ სიცოცხლეს უდრის
ლამის.
ვითვლი სანეტარო წამებს
ანუ სიცოცხლეებს ვითვლი,
და გადამდის თუმცა სვითქი,
ვგრძნობ ამაში დიდ სიამეს.

რა მფირფასი წამებია,
სხივთა რა წარმტაცი თქეში!
ჯოჯოსეთში წამებიდან
თითქოს მოვხდეი სამოთხეში.

თითქოს კი არა და მართლა
სამოთხეა, ასე ნათლად
რასაც ვხედავ, ვგრძნობ და
მესმის,
როგორც საყვარელი ლექსი.

სოლო რასაც ვგრძნობ და
მესმის,
ღვთის სიტყვაა, ღვთის
ნუგეში —
მართლა გადასარევი და
მართლა უუნეტარესი.

20 აგვისტო, 1999.

# აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

## პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია „BP“, თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი“ (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს „გარემოსდაცვითი შეფასების“ დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჯერად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან), რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ მიერ. ეს ორგანიზაციები მიესალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის „Infoshop“-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD –ს საინფორმაციო ბიზნესცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ. 38, თბილისი, ტელ: 59-34-00.

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის – ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში – გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი.

რუსთავის მერიაში – კოსტავას ქ. 20, რუსთავი.

ახალციხის მერიაში – კოსტავას ქ. 18, ახალციხე.

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას“ და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს“ მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 18 აგვისტო

**08.00** მოამბე **08.15** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველვზე საკვირველი" **09.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.25** ბენი ჰილი **09.55** მხ. ფილმი **"ზესის დესპანი"** **11.25** დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** დოკ.სერიალი "სატელევიზიო ჟურნალის ისტორია 1" **14.00** ტელესერიალი **"სასახლე მზეში"** 1 ს. **15.15** მხ. ფილმი **"სიკვდილის ალმასი"** **16.45** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **10.00** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.20** 50–50 **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "ბენი ჰილი" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (ლ. ბეკოლი) **22.40** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.20** მხ. ფილმი **"ცა ჩამოიქცა"** **00.55** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველვზე საკვირველი"

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი **"გიჟები სტადიონზე"** **21.00** ვმესტე **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.10** მხ. ფილმი **"კონკია"**.

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი **"მაქსი"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** ჩვენი ეზო **18.30** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.55** სერიალი **"მაშველები"** **19.40** სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** **22.00** სერიალი **"ჯაშუში"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ. ფილმი **"მაწანწალათა მზე"**. მთ. რ-ში: ჟან გაბენი, რობერტ სტაკი.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ. ფილმი **"ჩემი კრიმინალური ძია"** **10.20** მხ.ფ. **"ჯოჯოხეთური ცათამბჯენი"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **14.10** დოკ. ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.00** დოკ. ფილმი **20.00** ბურთი და მოედანი **20.30** მხ. ფილმი **"სისხლიანი ქორწილი"** **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. **"უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი"** **01.30** ღამის ფილმი

**09.00, 10.55, 12.00, 13.00, 13.55, 15.00, 15.55, 17.00, 17.55, 19.00, 20.55, 22.00, 02.30** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"იუდას ქალი"** 101-ე ს. **10.30** ლარის მახე **11.05** სერიალი **"იმპერია - ნოუბლ ჰაუზი"** მე-6 ს. **12.10** სერიალი **"გოგონები ესპანეთის მოედნიდან"** 1 ს. **13.30** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **14.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** 36-ე ს. **15.15** მხ. ფილმი **"სასიში გმირები"** **17.25** "X კლუზივი" **18.05** სერიალი **"იუდას ქალი"** 102-ე ს. **19.30** სერიალი **"გოგონები ესპანეთის მოედნიდან"** მე-2 ს **20.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **21.05** სერიალი **"მკვლელობის ილუზია"** 37-ე ს. **23.00** სერიალი **"ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები"** მე-19 ს. **23.55** კინო-ნოსტალგია **"ტვინი"**

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი **"მარია ემილია"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ყველზე პატარა ზოომაღაზია" **19.00** სერიალი **"მარია ემილია"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"კაცი რომელსაც გახდომა უნდა"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"ვარსკვლავთა კარიბჭე"**

**12.00** ინდური მხ. ფილმი **"ოთხი უდარდელი"** **15.00** მხ. ფილმი **"გლადიატორი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ზვიგენი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"სეიფების მძარცველი"** **23.00** დოკ. ფილმი "ნაციზმი

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** მუსიკალური პაუზა **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **23.15** ინდური მხ. ფილმი **"სიყვარულის ანატომია"**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"პიკის საათი"** მთ. რ-ში ჯეკი ჩანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" **"მზის ცრემლები"** მთ.რ-ში ბრიუს უილისი. მონიკა ბელუჩი. **01.40** "ღამურა" **"წინასწარმეტყველობა"** მთ.რ-ში მარტინ დონოვანი. **03.45** პაუზის გარეშე

**09.20** მულტფილმი "აბა დამაცადე" **10.10** მხ. ფილმი **"ნოტინ-ჰილი"** **12.10** ბალეტი - "ფაივ დანსი მარტა გრემი" **12.30, 17.20, 19.50** მუსიკა **12.40** მხ.სერიალი **"რუსი ამორძალები"** მე-8ს. **13.30** "ოსტატები"- მოცეკვავე **13.45** "ბელისიმო" **14.15** "ჩემი ქვეყანა" - ზღაპრის თეატრი **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.20** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **15.50** მხ. ფილმი **"სისხლიანი დანაშაული"** **17.50** სერიალი **"ქავინქტონ კროსი"** მე-3 ს. **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.05** სერიალი **"პოლიციელი ქალი"** 38-ე ს. **20.05** დოკ. ფილმი **21.10** სერიალი **"ახალი პროფესიონალები"** მე-5 ს. **22.00** გადაცემა "ღამის მატარებელი" **00.20** მხ.ფილმი **"თქვენთან წერილია"**

## სამშაბათი
### 19 აგვისტო

**08.00** მოამბე **08.15** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველვზე საკვირველი" **09.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.25** ბენი ჰილი **09.55** მხ. ფილმი **"ცა ჩამოიქცა"** **11.30** დოკ.სერიალი "მოდა ყველასათვის" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ლერერის შოუ **14.00** სერიალი **"სასახლე მზეში"** მე-2 ს. **15.15** მხ. ფილმი **"არხების გადართვისას"** **16.55** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.10** ქართული სიმღერის სიყვარულით **17.55** მონუმენტალისტი და ფერმწერი - ზ. წერეთელი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბნუების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ქართული ზარის ჰარმონია **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.55** სათავეებთან **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.20** ქართული ფილმი **"რეკორდი"** **00.20** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველვზე საკვირველი"

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** მხ. ფილმი **"ჯონი - მნემონიკი"** **21.00** გლობუსი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი **"არამზადას სიკვდილი"**

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი **"ჯაშუში"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ასულ ტეკილა"** **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი **"მაშველები"** **19.40** სერიალი **"სასტიკი ანგელოზი"** **22.00** სერიალი **"განდგომილი"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** **00.40** მხ.ფილმი **"უბრალო ამბავი"**. მთ. რ-ში: რიჩარდ ფანსუორტი, სისი სპეისეკი.

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი **"სისხლიანი ქორწილი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი"** **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. **"კრიჟაშეკრული"** **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი **"მეგობარი ქალები"** **01.10** ღამის ფილმი

